გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით. დარეკეთ 577460659 ან 595183709

ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

გვ.5

ირაკლი ოქრუაშვილი: „რუსთავი 2 იყო ჩემი საკუთრება. ის ქიბარ ხალვაშის არასდროს ყოფილა“

19 ივლისიდან

რევაზ მიშველაძე

ციყვი ბორბალში

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

ორშაბათი, 22 ივლისი, 2019 №171 (8125) ფასი: 60 თეთრი

ჯოხთაბერიძე თუ ჩხარტიშვილი

ვის მიჰყიდის ხალვაში რუსთავი 2-ს



გვ.4

„პრემიერის პოსტზე ირაკლი ალასანიასა და დავით ბაქრაძის კანდიდატურები განიხილება“

გვ.4

„ევროპული საქართველო“ „ოცნებას“ ხელშეუხებლობასა და კოჰაბიტაციას ჰპირდება“

სანდრო ბრეგაძე: „რუსთაველზე აქციები რომ დაიწყო, პარლამენტში სუნი დადგა“

ნათია კუპრაშვილი: „ხალვაშმა სიტყვა უკვე გატეხა, რადგან დვალი რუსთავი 2-ის გენდირექტორად არ დანიშნა“

გვ.2

ბაჩუკი ქარდავა: „ივანიშვილი აპირებს, საქართველოს რკინიგზა რუსეთს მიჰყიდოს“

გვ.2

სუს-მა 2 პირი დააკავა — სამედიცინო უნივერსიტეტში ჩარიცხვა ქრთამის სანაცვლოდ

გვ.4

სამართალი

გვ.7



„იულია სუსლიაკი თეა გიორგაძისა და მარიამ გოგორელიანის მითითებით გარდაბნიდან გაიტაცეს“

16 წლის გიორგი ბეშკენაძის დაღუპვის საქმეზე დაკავებულ შიშუ პალ ბურდაკს პატიმრობა შეეფარდა

ადვოკატი ბასილაია: „გოგა ონიანის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა“

ეკონომიკა

გვ.5

სავაჭრო ცენტრ საბას მოიჯარეები ტოვებენ

„თელავის ღვინის მარანი“: „რუსეთის ბაზარი არამყარი, მაგრამ მომგებიანია“

გვ.5



„ავტოიმპორტიორებს შემოსავალი და გაყიდვები არა საბანკო რეგულაციებმა, არამედ ქვეყანაში არსებულმა ზოგადმა კლიმატმა შეუმცირა“

გვ.6

ISSN 1987-9385

6 ვახტანგ მაისაია: „კობახიძეს უნდა სცოდნოდა, რომ გავრილოვი რუსი მზვერავია“

3 ბექა ნაცვლიშვილი: „ოცნებისა“ და ნაციონალების კოალიციას გამოვრიცხავ“

3 მირიან მირიანაშვილი: „რუსთავი 2 რუსეთის დავალებებს ასრულებს და პროამერიკელობას იბრალებს“

8 აშშ-ში მოქალაქეობის მისაღები ტესტი ჩასწორდება

„ივანიშვილი აპირებს, საქართველოს რკინიგზა რუსეთს მიჰყიდოს“

ბაჩუკი ქარდავა: „ოცნების“ ლიდერი სინამდვილეში პუტინია“

შორენა მარსაგიშვილი

წააგო თუ არა ოპოზიციამ ივანიშვილთან ბრძოლა, რა დავალებები მიიღო ოლიგარქმა რუსეთიდან, რა უნდა გაითავისონ „ოცნების“ ლიდერმა და მოსკოვმა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ბაჩუკი ქარდავა ესაუბრება.

– ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ივანიშვილთან ბრძოლაში ოპოზიციამ ფიასკო განიცადა. ამის მთავარ არგუმენტად რუსთავი 2-ის ქიბარ ხალვაშისთვის დაბრუნება სახელდება. თქვენ რას გვეტყვით, წააგეთ ივანიშვილთან ბრძოლა?

– ეს არასერიოზული შეფასებაა. ოპოზიცია არ არის ხელისუფლება, რომ მას ჯარი და პოლიცია ემორჩილებოდეს. ოპოზიციას აქვს მართალი სიტყვა და, რაც მთავარია, აქვს ხალხის მხარდაჭერა.

როდესაც დაინახეს, რომ ხალხი ოპოზიციას უჭერდა მხარს, მათ დაუშინეს ტყვიები და ცრემლსადენი გაზი. ახლა ცდილობენ, თავისუფალი სიტყვა შეზღუდონ.

ეს ყველაფერი ისევე დასრულდება, როგორც აქამდე სრულდებოდა – რეჟიმები ასრულებენ ძალიან ცუდად.

28 წელია, ვუყურებ რუსთაველზე მიმდინარე პროცესებს – ხელისუფლების თავგასულობით აღშფოთებული ხალხი პროტესტის გამოსახატავად გამოდის პარლამენტის წინ, ხდება მათი დარბევა. ამ დარბევის შედეგი იმ რეჟიმის დასასრულია, რომელმაც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ძალა გამოიყენა.

ასე რომ, ფიასკო უფრო ხელისუფლებამ განიცადა – მან დაკარგა ხალხის მხარდაჭერა და იძულებული გახდა, მის წინააღმდეგ იარაღი გამოეყენებინა და სისხლი დაეღვარა.

– ოპოზიციის მხარდამჭერების დაკავებებზე რას იტყვით, ესეც ხელისუფლების ფიასკოზე მეტყველებს?

– რა თქმა უნდა, როდესაც სიმართლე შენ მხარეს არ არის, მაშინ იძულებული ხარ, ოპონენტები და კონკურენტები იზოლაციაში გყავდეს.

ხელისუფლება გრძნობს, რომ ოპოზიცია მომავალ არჩევნებზე დაამარცხებს და ყველანაირად ცდილობს მის განეიტრალებას. იმაზე აღარ ფიქრობენ, რომ ოპოზიციონერების ციხეში გამოკეტვა ამ სახელმწიფოსთვის კარგი არ არის.

საქართველო რუსეთის მსგავსად ბირთვული სახელმწიფო არ გახლავთ. ჩვენ არც ნავთობი გვაქვს. ამ ქვეყნის მთავარი ხიბლი დემოკრატია და დასავლური ცივილიზაციისკენ სწრაფვაა. დაჭერებითა და დარბევებით დემოკრატიას ვერ მივაღწევთ.

– რუსთავი 2 ოპოზიციისთვის მძლავრი რუპორი იყო. თუ ახლა მას ხელისუფლება ან მასთან დაახლოებული პირი გააკონტროლებს. რის შემდეგაც ის აღარ იქნება ოპოზიციის რუპორი, ხალხთან სათქმელის მიტანა არ გაგიჭირდებათ?

– აქ ისმოდა განსხვავებული აზრი და სავსებით ლოგიკურია, რომ „ოცნება“ წლებია, მას ებრძვის. ამის ფონზეც კი თავხედურად გამოჩნდა რუსეთის ხელისუფლების კატეგორიული მოთხოვნა, რომ მომხდარიყო ამ არხის ალაგმვა.

– ეს ყველაფერი ერთმანეთს მართლაც საეჭვოდ დაემთხვა.

– ეს დამთხვევა არ ყოფილა. აქ ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. გავრილოვის სისხლიან ღამემდე რამდენიმე თვით ადრე ბიძინა ივანიშვილმა საბოლოოდ დაიწყო ნიღბის ჩამოხსნა და დაგვანახა, ვინც სინამდვილეში არის. ის ჩამოყალიბდა კრემლის მარიონეტ ხელისუფლებად. ამის შედეგია 20 ივნისი. რუსთავი 2-ის ამბავიც ამის შედეგია.

როდესაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი გეუბნება, დაიჭირე ოპოზიცია, დახურე ოპოზიციური ტელევიზია და შენ მეორე დღესვე ამის განხორციელებას იწყებ, კრემლის მარიონეტი ხარ, აბა რა ხარ. ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ ქართულ ხელისუფლებას ვერ ვუწოდებთ.

– გამოდის, რომ ლავროვია ჩვენი უმაღლესი ხელისუფალი.

– უფრო პუტინია უმაღლესი მმართველი, ოღონდ – მხოლოდ ხელისუფლების. არა მგონია, ქართველი ხალხი ამას დათანხმდეს. ბოლო 30 წელი იმიტომ არ გაგვიტარებია ბრძოლაში, რომ ისევ კრემლი იყოს ჩვენი მმართველი.

მე მჯერა და მწამს, რომ ივანიშვილის რეჟიმი აუცილებლად დასრულდება და საქართველო ნორმალური განვითარების კალაპოტს დაუბრუნდება.

– ზემოთ თქვით, მეორე დღესვე შეასრულა ხელისუფლებამ, რაც მოსკოვმა მოითხოვაო. კრემლიდან შემდეგი რა ბრძანება წამოვა?

– ეს ბრძანება ბიძინა ივანიშვილს მოსკოვიდან უკვე მიღებული აქვს. ეს გახლავთ საქართველოს რკინიგზის რუსეთისთვის მიყიდვა და აფხაზეთის რკინიგზის გახსნა, რაც აბსოლუტურად არ ზის ქართული სახელმწიფოს ინტერესებში.

ივანიშვილს მოსკოვიდან ასევე უბრძანეს, რომ საქართველომ ნატოსკენ სწრაფვა შეაჩეროს. ღიად ამას ხელისუფლება ვერ იტყვის, მაგრამ ისეთ ნაბიჯებს გადადგამს, რომ ნატოს დაგვაშორებს. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ისედაც დაგვაშორა დასავლეთთან.

ეს დავალება ივანიშვილს კარგა ხანია, რაც მიღებული აქვს. მისი შესრულება დროში გააჭიანურა.

– რატომ გააჭიანურა?

– ამ დავალების სანაცვლოდ ალბათ რაღაცას ითხოვდა მოსკოვისგან.

– რა შეიძლება მოითხოვოს მან კრემლისგან?

– ხელისუფლებაში დარჩენა. ეს გარანტიები მას ახლა ჩრდილოეთიდან აქვს. ჩემი სუბიექტური აზრით, დღეს რუსთავი 2-თან დაკავშირებით რაც ხდება, რუსეთის დამსახურებაა. ეს არხი ჯერ ისევ არის, მაგრამ ახლა იმისთვის მიდის ბრძოლა, რომ აღარ იყოს.

აქვე მინდა ხაზი გაუსვათ, რომ ჩემი ეს შეფასება არანაირად არ უკავშირდება სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებას. შეიძლება, არ მომწონს ეს გადაწყვეტილება, მაგრამ ვერასდროს დავუშვებ, რომ ამ სასამართლოზე მოსკოვმა იქონია რაიმე გავლენა.

უბრალოდ, ეს გადაწყვეტილება დაემთხვა ივანიშვილისა და მოსკოვის ინტერესებს. რაც საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ მუშაობს.

– თქვენ თქვით, რომ ივანიშვილი აპირებს, საქართველოს რკინიგზა რუსებს მიჰყიდოს. ჩვენი საზოგადოება ამასაც ისევე მშვიდად გაატარებს, როგორც როსნეფტის შემოსვლის შემთხვევაში მოხდა?

– გულწრფელად გეტყვით, როდესაც ბოლო დროს დიდი და სწრაფი ნაბიჯებით რუსეთისკენ მივექანებოდით, სულ ვწუხდი, რატომ არ ჰქონდა ამაზე ქართველ საზოგადოებას რეაქცია.

მას შემდეგ, რაც 20 ივნისს რუსთაველის გამზირზე ვიხილე, ჩემი ეს სიტყვები და წუხილი უკან წავიღე. იმ დღეს მე ვნახე თვალანთებული ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ეპოქაში აღიზარდა.

დარწმუნებული ვარ, ეს თვალანთებული ახალგაზრდობა საქართველოს დამოუკიდებლობას კბილებით დაიცავს.

ბიძინა ივანიშვილს ეგონა, რომ აქ ყველაფერი მისი გეგმის მიხედვით მიდიოდა, სჯეროდა, რომ ქართველი ხალხი შეეგუა რუსულ ოკუპაციას და გატყდა, ეგონა, ქართველი ხალხი მზად იყო, რუსეთისთვის ბაბაია დაეძახა.

საბედნიეროდ, ასე არ აღმოჩნდა და ქართველი ხალხი ბაბაიას არც რუსეთს დაუძახებს და არც სხვა ვინმეს. ვატყობ, ძალიან მალე ივანიშვილს უკანა თათებით მოუწევს საქართველოდან წასვლა.

– იმედია, წასვლამდე აფხაზეთის რკინიგზის გახსნასა და საქართველოს რკინიგზის გაყიდვას ვერ მოასწრებს.

– მაშინ, როცა გავრილოვი ხდება პრობლემა, იქ რკინიგზის ამბავი რა მოსატანია. ხალხმა მისი პარლამენტში შესვლა ღირსების შელახვად მიიღო და, როგორ გგონიათ, ქვეყნისთვის სტრატეგიული ობიექტების რუსეთისთვის გადაცემას დაუშვებს?

ძალიან მძიმე და სერიოზული ბრძოლა გველოდება, მაგრამ წინასწარ ვიცი, თუ როგორ დამთავრდება ის. საქართველოში ოლიგარქის რეჟიმი დასრულდება და ეს მხოლოდ ტრაფარეტული სიტყვები არ არის.

ნათია კუპრაშვილი: „ხალვაშმა სიტყვა უკვე გატეხა, რადგან დვალი რუსთავი 2-ის გენდირექტორად არ დანიშნა“

იაგო ნაცვლიშვილი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ და იმ რეალობის შემდეგ, როცა ხელისუფლებამ დაჩქარებული წესით შეცვალა რუსთავი 2-ის მფლობელი, საზოგადოებაში მთავარი კითხვაა, როგორი იქნება რუსთავი 2-ის სარედაქციო პოლიტიკა და მივიღებთ თუ არა ისევ ერთ ხმაზე ალაპარაკებულ დიდ ტელეარხებს.

რუსთავი 2-ის გარშემო მიმდინარე პროცესებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსის“ წარმომადგენელი და ჟურნალისტიკის რესურსცენტრის დირექტორი ნათია კუპრაშვილი საუბრობს.

– როგორ აფასებთ რუსთავი 2-ში მიმდინარე პროცესებს, რა შთაბეჭდილება გრჩებათ და გჯერათ თუ არა იმის, რა პირობასაც აძლევს ახალი მფლობელი ჟურნალისტებს, რომ სარედაქციო დამოუკიდებლობა შენარჩუნდება?

– აქამდეც არ ჰქონია სარედაქციო დამოუკიდებლობა რუსთავი 2-ს, ახლა უნდა იყოს მიზანი, რომ მიაღწიოს სრულ სარედაქციო დამოუკიდებლობას, თუმცა მგონია, რომ ეს ამჟამინდელი მფლობელის ხელში ვერ მოხერხდება. ეს მანამდეც ჩანდა სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ მის პოსტებში, რომ ქიბარ ხალვაშს არ მოსწონდა ის სარედაქციო პოლიტიკა, მხედველობაში მაქვს ის, რაც ჰქონდა რუსთავი 2-ს ნიკა გვარამიას დირექტორობის დროს და რასაც ემსახურებოდნენ არხზე დარჩენილი მედიამუშაკები.

ეს სარედაქციო პოლიტიკა მას არ მოსწონდა. ეს იკითხება მის განცხადებებში. შესაბამისად, მხოლოდ ილუზია შეიძლება გვქონდეს, რომ რუსთავი 2-ის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლა არ სურს ვინმეს.

– როგორ უნდა მოიქცნენ ჟურნალისტები? ისინი ითხოვენ უფრო მეტ გარანტიებს, ვიდრე ეს არის სიტყვიერი დაპირება.

– მე კარგად ისიც ვერ გავიგე, რა არის მათი მოთხოვნა – ისინი იყვნენ ხელისუფლებისადმი ძალიან კრიტიკულები? თუ ამას ითხოვენ, ეს ძალიან კარგია. თუ იმას ითხოვენ, რომ ისინი იყვნენ ძალიან კრიტიკულები ხელისუფლების მიმართ და, ამავე დროს, არ იყვნენ ლოიალურები კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მიმართ, რაც აქამდე ხდებოდა. კარგად დაკონკრეტებული არ არის ჟურნალისტების მოთხოვნები.

კითხვები არის იმაზეც, რომ ირაკლი ოქრუაშვილს ბიძინა ივანიშვილმა სთხოვა არხის დათმობა, რაც უკვე აჩენს კითხვებს, მაგრამ, ამასთანავე, არის კითხვები იმაზეც, საიდან აღმოჩნდა რუსთავი 2 მის ხელში. თვითონაც ხედავს ამას დანაშაულებრივად და თვითონ ყვება ამის შესახებ. ის იმ დროს იყო მაღალჩინოსანი და არანაირი არც უფლებრივი და არც მატერიალური შესაძლებლობა არ ჰქონდა, რომ რამდენიმე მილიონი გადაეხადა, თანაც ადგილმონაცვლე პირისთვის რუსთავი 2-ში.

სამწუხაროდ, ჟურნალისტებისგან არ გვესმის კითხვა იმაზე, როგორი იყო მაშინდელი პრეზიდენტის როლი ამ საქმეში. მე ვისურვებდი, რომ ეს კითხვები დაესვათ რუსთავი 2-ის ძალიან კარგ ჟურნალისტებს.

მათ შეუძლიათ, იბრძოლონ და მოიპოვონ მეტი დამოუკიდებლობა, ვიდრე აქამდე ჰქონდათ. თუ იმას მეკითხებით, მაქვს თუ არა ამის იმედი, ნაკლებად მაქვს. ნაკლებად მაქვს იმის იმედიც, რომ რუსთავი 2-ის დღევანდელი მფლობელები მას დატოვებენ მთავრობისადმი კრიტიკულ ჟურნალისტებად.

– რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ყველა ტელევიზიამ ერთ ხმაზე არ ილაპარაკოს, რისი ცუდი გამოცდილებაც ჩვენ გვქონია, რამდენიმე პატარა ტელევიზიას თუ არ ჩავთვლით? ეს საშიშროება ალბათ ისევ გამოჩნდა ახლაც.

– დიახ, ნამდვილად არის ეს საშიშროება.

– ამ რეალობის თავიდან ასაცილებლად რა უნდა გავაკეთოთ?

– ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა წმინდა სამართლებრივად შეიძლება განსხვავდებოდეს 2010-12 წლების მდგომარეობისგან იმიტომ, რომ დღეს უფრო მარტივია მაუწყებლობის დაწყება. არაერთ ოპოზიციურ ძალას შეუძლია, ასეთი რამე გააკეთოს, მაგრამ მიამიტური იქნება იმის თქმა, რომ რომელიმე ახალი ტელევიზია შეძლებს იმგვარი გავლენის მოპოვებას, როგორიც ჰქონდა რუსთავი 2-ს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„რუსთავი 2 რუსეთის დავალებებს ასრულებს და პროამერიკელობას იბრალებს“

მირიან მირიანაშვილი: „2012 წლის შემდეგ რუსთავი 2-ს ივანიშვილის დავალებით ბიზნესმენები აფინანსებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

რუსთავი 2-ის გარშემო პროცესები გრძელდება. ყოფილი დეპუტატი, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერი მირიან მირიანაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ მოსახდენი უკვე მოხდა და, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, ამ დღეებში რუსთავი 2-სთვის ნიღბის ჩამოხსნით საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გარდატეხა დაიწყო.

მირიან მირიანაშვილი:

– სტრასბურის სასამართლოს 17 ივლისის გადაწყვეტილებით ბევრი რამ შეიცვალა. ქიბარ ხალვაშმა სასამართლო პროცესი ჯერ კიდევ 2017 წელს მოიგო, მაგრამ ევროსასამართლომ მისი აღსრულება ორი წლით შეაჩერა. ახლა იყო შანსი, რომ ეს მდგომარეობა კიდევ 6 თვე გაგრძელებულიყო, მაგრამ ამ ტელევიზიის მოქმედებები ყველანაირ ზღვარს გადავიდა.

– რომელი მოქმედებები?

– რუსთავი 2-ს ადრეც ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა რუსეთის პროვოკაციებში, მაგრამ გაბუნიამ ყველას გადაამტა. ეს იყო რუსეთის პრეზიდენტის აპარატისა და რუსეთის სპეცსამსახურების სპეცოპერაცია რუსთავი 2-ის შესრულებით. თავიდანვე ვამბობდი, რომ ეს კრემლიდან მოდიოდა. რუსეთის ოპოზიციის ლიდერი ნავალნი იმავეს ამბობს. პუტინის მთავარი მოწინააღმდეგე ნავალნი დაწვრილებით აღწერს ამ ოპერაციის ანატომიას. თქვენს მკითხველს ამის მოძიება შეუძლია.

– საზოგადოებას დარჩება შთაბეჭდილება, რომ ევროსასამართლომ ამ დღეებში იმოქმედა არა სამართლებრივი, არამედ, პოლიტიკური არგუმენტებით.

– ეს იყო მიუკერძოებელი სამართლებრივი გადაწყვეტილება. მასში არავინ ჩარეულა. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება რუსთავი 2-ზე სამართლიანი და, ამავე დროს, პოლიტიკური კლიმატის შესაბამისია. დასავლეთის სასამართლოები ყოველთვის ითვალისწინებენ პოლიტიკურ ნიუანსებს. ეს არ ეხება ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებს.

რუსთავი 2-ის შემთხვევა სხვაა. ეს არხი თითქმის 15 წელიწადია, ასრულებს რუსეთის დავალებებს და პროამერიკელობას იბრალებს. რუსთავი 2-ს დასავლეთმა ეს ყალბი იარლიყი ჩამოხსნა. მოგეხსენებათ, რომ რუსეთი დღეს მსოფლიოში ტოქსიკურად მიიჩნევა და მის სპეცოპერაციებში მონაწილეობას მკაცრად უდგებიან. რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებს უამრავი სანქცია. რუსთავი 2-ის მესვეურებს გამოსვლები ჰქონდათ ჩაფიქრებული. მოიფიქრეს ახალი დადგმა, რომლითაც ევროსასამართლოს გადაწყვეტილება ივანიშვილის ჩარევას უნდა დაბრალებოდა. აშშ-ის სპეცწარმომადგენელმა უკრაინაში ვოლკერმა ამას წერტილი დაუსვა. მან განაცხადა, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილების გაპროტესტება კატეგორიულად მიუღებელია.

– რუსეთის მიმართ სანქციებია, მაგრამ რუსეთი დააბრუნეს ევროპის საბჭოში.

– ამას თავისი ახსნა აქვს. რუსეთის გარიყვა ევროპის საბჭოდან რუსეთის მოქალაქეებს დააკარგვინებდა წვდომას ევროსასამართლოზე. ამიტომ მიიღეს ეს გადაწყვეტილება და არა იმის გამო, რომ რუსეთი ძლიერია ან იმის გამო, რომ კრემლს აგრესია და დანაშაულები შერჩა.

– სიტყვა „პროდასავლურობას“ ამ გადაწყვეტილების შემდეგაც ინტენსიურად ხმარობენ როგორც ამ ტელეკომპანიის, ისე ოპოზიციის მიმართ.

– ვინც ამას აგრძელებს, ბრიყვი და არაადეკვატურია. ბოკერია ნაციონალებზე უფრო ადეკვატური აღმოჩნდა და პროამერიკელობას აღარ იბრალებს. მან აღნიშნა, რომ არც პრორუსია და არც პროამერიკელი.

ამერიკელები დიდხანს ითმენდნენ, ხანდახან შენიშვნებს გამოთქვამდნენ. რუსთავი 2-ს აშშ-ის საელჩომ რამდენიმეჯერ მოახდევინა ბოდიში იმის გამო, რომ აშშ-ის პირით ლაპარაკობდა. ამერიკელებს უკვე ყელში ამოუვიდათ რუსეთიდან კონტროლირებადი ძალების მხრიდან აშშ-ის იარლიყების ექსპლუატაცია და გაუთავებელი სპექტაკლები საქართველოში. ამ დადგმების მიზანი იყო დასავლეთის, ასევე საქართველოს საზოგადოების მოტყუება.

არავინ იფიქროს, რომ სხვა ფლანგზე მყოფი პარტიები რუსეთთან არ არიან გარიგებული. რუსეთის დავალებებს ასრულებს პატრიოტთა ალიანსი, რომელსაც შეკრებებზე ხალხს ივანიშვილის ხელისუფლება უგროვებს. სტრასბურმა ცივი შხაპი გადაასხა საakაშვილსაც, რომლის პარტიას უკრაინაში ნახევარპროცენტიანი რეიტინგი აღმოაჩნდა. ამის გამო მან პარტია პროპორციული არჩევნებიდან მოხსნა. ამ კაცს თავისი ადეპტები ეძახდნენ პროდასავლურ ლიდერს ლამის მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში და პუტინის საპირწონეს, საქართველოსა და უკრაინის ოპოზიციის წინამძღოლს.

საakაშვილს იმედი ჰქონდა, რომ კიევში ქულებს თბილისში მოპოვებული მითიური ცრუ გამარჯვებებით მოიპოვებდა და საარჩევნოდ მდგომარეობას გამოისწორებდა.

– ნაცმოძრაობას რა გამარჯვებები უნდა ჰქონოდა?

– რუსთაველზე აქცია საზოგადოებამ წამოიწყო. ნაცმოძრაობას ივანიშვილის დახმარებით უნდოდა ინიციატივის ხელში აღება რუსთაველის აქციებზე. ეს გამარჯვება არ იქნებოდა. ამით შექმნიდნენ საakაშვილის დიდი წარმატების შთაბეჭდილებას უკრაინაში. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ თბილისური სპექტაკლები საakაშვილის რეიტინგის ასაწევად უკრაინის არჩევნებამდე მოკვდა. ამით დასამარდა საakაშვილის პოლიტიკური კარიერა როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში.

– რუსთავი 2 ასე ადვილად შეიცვლება?

– ადრე თუ გვიან რუსთავი 2-ს მოუწევს ახალი მოცემულობის გააზრება. მანამდე, ალბათ, გაგრძელდება პოლიტიკა, რომელზეც ეს არხი დაიქოქა. რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველმა სურკოვმა თავიდანვე ჩაიფიქრა, რომ ამ ტელევიზიას უნდა ჰქონოდა პროდასავლური სახელი. მას შენიღბულად უნდა ემოქმედა. იგი უნდა ყოფილიყო ლგბტ-იდეების გამავრცელებელი.

2012 წლის შემდეგ რუსთავი 2-ს აფინანსებენ ბიზნესმენები ივანიშვილის დავალებით. მანამდე ამას საakაშვილი აკეთებდა. ბიზნესმენებს აიძულებენ, იყიდონ სარეკლამო დრო არხზე. ამავე დროს, თამაშდება სპექტაკლი დაპირისპირებაზე ივანიშვილსა და რუსთავი 2-ს, ასევე ივანიშვილსა და ნაცმოძრაობას შორის. დასავლეთსა და ხალხს აჯერებენ, რომ რუსთავი 2 ივანიშვილს რევოლუციას უმზადებს. ამაზე მეტი ცინიზმი რა უნდა იყოს!

– ყალბი პროამერიკელობისთვის, ალბათ, მარტო ნაცმოძრაობასა და რუსთავი 2-ს არ საყვედურობენ დასავლეთში.

– ცხადია. ეს ყველას ეხება. „ქართულ ოცნებას“ ისედაც ცუდად აქვს საქმე. თუ მმართველმა პარტიამ მომავალში ყალბი იარლიყისთვისაც მიიღო პარტნიორებისაგან მუჯლუგუნი, მას ფატალური პოლიტიკური აღსასრული ელოდება.

– სხვა ძალებზე რისი თქმა შეიძლება?

– ძველების გარდა, სრული კრახი არ ასცდებათ ახლად დაარსებულ და დაანონსებულ მოძრაობებს, თუ ისინი დაიწყებენ პროდასავლურობისა და პროამერიკელობის თამაშს და მიიწვევენ ყალბ იარლიყებს.

დასავლეთმა მშვენივრად იცის ყველას ჭეშმარიტი სახე. მამუკა ხაზარაძე ჯერ არ შემოსულა პოლიტიკაში. მას უკვე მოიხსენიებენ პროამერიკელად, დასავლური ძალების ცენტრად. ამას სხვები ამბობენ. სხვების აზრები არაფერია. მთავარია, რას იტყვიან პირადად ხაზარაძე და მისი გუნდი. თუ თვითონაც დაიწყებენ მტკიცებას, ამერიკული ძალა ვართო, მაშინ აშშ-ის მხრიდან ამას მძაფრი რეაქცია მოჰყვება.

– გამოდის, რომ პოლიტიკაში დიდი ცვლილებები ხდება?

– ხდება ის, რასაც ვამბობდი, მათ შორის, თქვენი პოპულარული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუებში. გარდატეხა დაიწყო. არსებული პოლიტიკური სისტემა ინგრევა. ამ სისტემის განადგურების წინ მოსალოდნელია კონვულსიები და აგონია პოლიტიკური სიურპრიზების თანხლებით.

ახალმა პროცესებმა მოიცვა მთელი რეგიონი. თურქეთის ადგილობრივ არჩევნებში სტამბოლის მერის არჩევნები ორჯერ ჩატარდა. სტამბოლში ერდოღანის კანდიდატი დიდი ანგარიშით დამარცხდა. ფაქტობრივად, ეს იყო თურქეთის, რუსეთისა და ჩინეთის ერთობლივი დამარცხება რეგიონში. იმ არჩევნებზე, რუსეთის პოლიტტექნოლოგების გარდა, ჩინელებიც იყვნენ მივლინებული, მაგრამ მათ ერდოღანის კანდიდატს გამარჯვება ვერ მოუტანეს.

რუსთავი 2-ის მფლობელობის თემას რომ დავუბრუნდე, გავიხსენებ, რომ მეც დაზარალებული ვარ. საზოგადოებამ იცის, რომ მე ჩემ მიერ დაფუძნებული ერთიანი ნაციონალური მოძრაობა წამართვეს. ამჟამად ის საakაშვილისა და ივანიშვილის ერთობლივ მფლობელობაშია. პარტიაზე დავა მაქვს სასამართლოში.

უკანონობა ჩემ მიმართ უფრო მეტია, ვიდრე ხალვაშის მიმართ. თუ ჩემი საქმე ევროსასამართლოში გადაინაცვლებს, აუცილებლად მოვიგებ. 2012 წლიდან დავა განვაახლე. საქმის წარმართვის საშუალებას არ მაძლევს ივანიშვილი, რომელიც წინ მეღობება. ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლებაში მოსვლამდე 10 წლით ადრე, ჯერ კიდევ 2002 წელს დააფინანსა ის უკანონო ყრილობა, რომელზეც მე დაუსწრებლად უსამართლოდ გადამაყენეს პარტიის თავმჯდომარეობიდან.

– რეგიონში რუსეთისა და მისი მოკავშირეების დასუსტებაზე საუბრობთ. რუსეთი მყარადაა ფეხმოკიდებული საქართველოს პოლიტიკასა და ეკონომიკაში და, როგორც ბოლო დროს გამოჩნდა, ჩვენი ხალხის დიდი ნაწილის ფსიქოლოგიაში. ასეთ სიტუაციაში რუსეთისაგან თავის დაღწევა შესაძლებელია?

– ეს გარდაუვალია. 2020 წლიდან რუსეთის კონტროლი მთავრდება. მომავალ სისტემაში უფუნქციოდ რჩებიან ნაცმოძრაობა და ივანიშვილი. ისინი რუსული სისტემის შემადგენლები არიან.

რუსეთის გასვლით დგება ახალი ეპოქა. საქართველო მეოცე საუკუნეში ორჯერ გახდა დამოუკიდებელი. საუბედუროდ, როგორც 1918-21 წლებში, ისე 90-იან წლებში მოპოვებული დამოუკიდებლობა არ ყოფილა ნამდვილი. ეს ფსევდოდამოუკიდებლობა იყო.

როცა საქართველო ფეხზე დადგება, მოეკითხება ყველა იმ ქართველ მოღვაწეს, რომელმაც ორივეჯერ ვითომ დამოუკიდებლობისას ქვეყანა რუსეთის გამგებლობაში დატოვა.

ბექა ნაცვლიშვილი: „ოცნებისა“ და ნაციონალების კოალიციას გამოვრიცხავ“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი ბექა ნაცვლიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ბექა, ხელისუფლებამ კრიზისი გადააგორა?

– საკმაოდ მძიმე ვითარებაში ვიმყოფებით. ერთგვარი გარდამავალი პერიოდია, რომელსაც ძალიან რთულად გავდივართ. ერთია, ხელისუფლებამ გადააგორა კრიზისი თუ ქვეყანამ!

ეკონომიკურ კრიზისს, რომელშიც ქვეყანა იმყოფება, დაემატა პოლიტიკური კრიზისი, რაც ქვეყნისთვის ძალიან დამაზიანებელია. არანაირი ექსპერტობა არ არის საჭირო, რომ სრულიად შეუიარაღებელი თვალით დაინახო, ასე გაგრძელება შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა პოლიტიკურ ძალებს შორის კონსენსუსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ასე გაგრძელდა და ამას დაემატება ხელოვნური კრიზისებიც, მაშინ არჩევნებამდე ვერ მივალთ, რაც კატასტროფის ტოლფასი იქნება.

თუ არ მოხდა ამ მძიმე ვითარების გაცნობიერება და სერიოზული დაფიქრება, მაშინ ეს ქვეყანა მეტს ვეღარ გადაიტანს. ასეთი გააზრებისთვის ჩვენ წინ ერთი წელი გვაქვს. ამ ერთ წელს გამოვიყენებთ სწორედ ამის გააზრებისთვის თუ პირიქით, ამაზე ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული.

2020 წლის არჩევნებამდე კრიზისების გარეშე უნდა მივიდეთ და თვითონ ამომრჩეველმა გადაწყვიტოს, როგორ და რანაირად!

– მიხეილ საakაშვილი ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილის საქმე წასულია და მისი წამმზომი ჩართულია. შეიძლება, დაპირისპირების ახალი ტალღა ვიხილოთ?

– ეს არის უკვე პიროვნული დაპირისპირება. ეს უკვე პიროვნული ზიზღია, რაც შეიძლება უფრო დიდ პროცესში გადაიზარდოს, რაც ძალიან სახიფათოა. ასეთი დაპირისპირებები ჩვენს ქვეყანას ჭაობისკენ ექაჩება. ეს არის ის, რაც სწორედ შეუქცევადი პროცესების დაწყებას უწყობს ხელს. არ შეიძლება, ამ რეჟიმში გადავიდეთ.

სიმართლე გითხრათ, საერთოდ არ გავაკეთებდი საakაშვილზე კომენტარს, კითხვა რომ არ დაგესვათ, რადგან არ შეიძლება, ისევ უკან დავბრუნდეთ.

– ბევრი ექსპერტი არ გამორიცხავს კოალიციურ მთავრობას. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ კოალიციური მთავრობის ფორმირება, მით უფრო, იმ ფონზე, რასაც ვუყურებთ. ევროპულ ქვეყნებსაც კი უჭირთ შეთანხმება.

– გასაგებია, რასაც მეკითხებით, გერმანიაში, იტალიასა და სხვა დასავლურ ქვეყნებში ეს არის სერიოზული გამოწვევა, მაგრამ პოლიტიკოსები იმიტომ არსებობენ, რომ ეს პოლიტიკური გამოწვევა გადალახონ.

თუ ერთი ლიდერის სადიდებლად უნდა ჩამოყალიბდეს რაღაც ჯგუფი, რომელსაც კოალიციურ მთავრობას დავარქმევთ, ეს ძალიან მარტივი იქნება, მაგრამ, თუ საუბარია რეალურ კოალიციურ მთავრობაზე, სადაც პასუხისმგებლობა ოპოზიციაზეც არის დელეგირებული, სადაც ძალაუფლება გადანაწილებულია და მთავარი ამოსავალი არის ქვეყნის წინსვლა, მაშინ ნებისმიერი პოლიტიკური ძალა იქნება გამოწვევის წინაშე, რადგან ასეთი პრობლემები ბევრ დასავლურ ქვეყანასაც ექმნება და არაერთხელ დანიშნულა რიგგარეშე არჩევნები.

– ერთმანეთის გაწონასწორებას, პასუხისმგებლობის დელეგირებას რამდენად შეძლებენ თუნდაც „ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა, ანუ ერთ მთავრობაში ისინი რამდენად წარმოგიდგენიათ?

– იდეოლოგიურად ეს ორი პარტია ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან, ორივე მემარჯვენე ტიპის პარტიაა. ნაციონალურ მოძრაობას ძალიან მძიმე პოლიტიკური წარსული აქვს და მე არ ვისურვებდი, რომ „ქართულ ოცნებას“ მასთან რაიმე საერთო ჰქონდეს.

– გამორიცხავთ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას ერთ კოალიციაში?

– იმედი მაქვს, რომ ასეთი რამე არ მოხდება და „ქართული ოცნება“ არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად კოალიციაში ყოფნას. ეს იქნება მორალური, ეთიკური, ზნეობრივი, ნებისმიერი ამ პრინციპისთვის ხაზის გადასმა.

თუ ამას დავუშვებთ, მაშინ ჩათვალეთ, რომ ქვეყანა, უბრალოდ, ვერ განვითარდება. ეს იქნება რეალურად ჭაობში ჩამთრევი მოცემულობა.

ამიტომ, თუ ანგარიშგასაწევი ძალა არ გამოჩნდა, რომელიც პროგრესზე, ქვეყნის რეალურ წინსვლაზე, მის განვითარებაზე იქნება ორიენტირებული, ვითარება ძალიან რთული იქნება

„პრემიერის პოსტზე ირაკლი ალასანიასა და დავით ბაქრაძის კანდიდატურები განიხილება“

შორენა მარსაგიშვილი

სანდრო ბრეგაძე: „რუსთაველზე აქციები რომ დაიწყო, პარლამენტში სუნი დადგა“

ვინ და რატომ აფინანსებს „ევროპულ საქართველოს“, ვინ შეაჩერა დროებით ხელისუფლებაში მათი მოსვლის პროცესი, რა სუნი იდგა პარლამენტში, როცა ოპოზიცია ქუჩაში აქციებს მართავდა და რა ელოდება „ოცნებას“ შემოდგომაზე? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ქართული მარშის ლიდერი სანდრო ბრეგაძე ესაუბრება.

სანდრო ბრეგაძე:

– კიდევ ერთხელ მინდა გავაფრთხილო საზოგადოება, რომ „ქართული ოცნება“ მზადაა, ხელისუფლება „ევროპულ საქართველოს“ გადააბაროს. გიგა ბოკერიასა და მის გუნდს ამერიკაში სერიოზული მფარველები ჰყავთ. რამდენიმე თვის წინ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ვთქვი, რომ ამერიკიდან ჩამოსულმა მაღალჩინოსანმა ბიძინა ივანიშვილს პირდაპირ მოსთხოვა, ევრონაცებისთვის გადაებარებინა ხელისუფლება.

– მაშინ „ევროპულ საქართველოში“ თქვეს, რომ ეს იყო აბსურდი და ამაზე კომენტარსაც კი არ გააკეთებენ.

– რაზე არ გააკეთებენ კომენტარს, ამერიკა რომ მფარველობს თუ ივანიშვილთან რომ თანამშრომლობენ? ადრე თუ გვიან ხელისუფლებას რომ ისევ ნაცებს გადააბარებდნენ, ეს ჯერ კიდევ მაშინ გახდა ცნობილი, როცა „ოცნებამ“ დამნაშავე ძალასთან კოჰაბიტაცია გამოაცხადა.

ამ დამნაშავე ძალიდან ყველაზე საშინელი გიგა ბოკერიას ბანაკი იყო. ამერიკელები კი სწორედ მას მფარველობენ. ეს ადამიანი არის პოლიტიკური ჩიკატილო და რატომღაც მას თვლის ვაშინგტონი პროდასავლურ ძალად. ამერიკელების მხრიდან ბოკერიას დემოკრატად წარმოჩენა დემოკრატიასაც ჩრდილს აყენებს და ამერიკასაც.

ამერიკაში კარგად იციან, თუ რა დამოკიდებულება აქვს ქართველ ხალხს ამ ვაჟბატონის მიმართ, მაგრამ ივანიშვილს მაინც მოსთხოვეს მისთვის ხელისუფლების გადაბარება. ამით ამერიკელები საკაშვილსაც საბოლოოდ მოიცილებენ პოლიტიკურად და საქართველოშიც თავისი კაცი ეყოლებათ, რომელიც უსიტყვოდ შეასრულებს მათ დავალებებს. მადლიერი ამერიკა კი პოლიტიკურ ჩიკატილოს პროდასავლურ ძალად გამოაცხადებს.

– ბოკერიამ თქვა ცოტა ხნის წინ, პროქართული ძალა ვარო.

– დაგვცინა. ეგ ცოტა ხანში იმასაც იტყვის, ეროვნული მოძრაობის ლიდერი მე ვიყავიო. საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, როგორ დასდევდა მხედრიონელებთან ერთად ის ზვიად გამსახურდიას მომხრეებს. ერთხელ უნივერსიტეტში მოვარდა მხედრიონი. ბოკერია და გოკა გაბაშვილი ამ ჯალათებს პირდაპირ უთითებდნენ, თუ ვინ იყო ზვიადისტი. მაშინ მე გამსახურდიას მომხრე სტუდენტური ჯგუფის ხელმძღვანელი ვიყავი და ეს ყველაფერი საკუთარი თვალით მაქვს ნანახი.

ბოკერიას მიმართ რომ ასეთი დამოკიდებულებაა, ეს ამერიკამაც კარგად იცის და ამიტომაც თავიდან მას წინა პლანზე არ წამოსწევენ. ვაშინგტონში დარწმუნებული არიან, რომ ხელისუფლებაში ევრონაცები მოვლენ. ისინი პრემიერობის რამდენიმე კანდიდატს განიხილავენ. ესენი არიან გიგი წერეთელი, ირაკლი ალასანია და დავით ბაქრაძე. არც ერთი მათგანი სისხლში არ არის გასვრილი და მათ მიმართ აგრესია არ არის.

– რას ჰქვია განიხილავენ, იქნება არ თმობს ივანიშვილი?

– არ დათმობს და რევოლუციას მიიღებს. მას ამერიკელებმა პირდაპირ უთხრეს, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში გადატრიალებას მიიღებდა. ისიც გარკვევით უთხრეს, თუ ვინ მოვიდოდა ხელისუფლებაში. ევრონაცების დაწუნების შემთხვევაში ამერიკა ბიძინას ნაცების დახმარებით დაემუქრა.

„ევროპული საქართველო“ „ოცნებას“ ხელშეუხებლობასა და კოჰაბიტაციას ჰპირდება“

ბოკერიას გუნდის მოსვლის შემთხვევაში „ოცნების“ ლიდერი და მისი გარემოცვა ხელშეუხებლობის გარანტიებს მიიღებენ. ნაცების შემთხვევაში კი ამ გარანტიებს არავის აძლევენ.

„ევროპული საქართველოსთვის“ ხელისუფლების გადაბარების პროცესი აქტიურად მიდიოდა, მაგრამ რუსეთის ჩარევის შემდეგ პროცესი შეფერხდა.

– რუსეთი რანაირად ჩაერია?

– რანაირადაც ამერიკა. მოსკოვმა ვაშინგტონს უთხრა, რომ ისინი საქართველოს ხელისუფლებაში ბოკერიას გუნდის მოშვებას არ დაუშვებენ. ეს პროცესი დროებით შეჩერებულია. ხვალ შეიძლება ისევ გაგრძელდეს გადაბარება.

– თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ეს გადაიბარებს ხელისუფლებას, მაგრამ იქ სერიოზული უთანხმოებაა. არის ვარაუდი, რომ გიგი უგულავა ამ პარტიას დატოვებს.

– ეს გამორიცხულია. „ევროპულ საქართველოში“ გიგი უგულავამ ბევრი ფული ჩადო. მას აქ თავისი ამბიციები აქვს. ახლა ის და ბოკერია რაღაცაზე ვერ თანხმდებიან, მაგრამ, იძულებული არიან, ერთად იყვნენ.

აქტიურად არ ჩანს საჯაროდ, მაგრამ პარტიულ საქმეებში სერიოზულად არის ჩართული გივი თარგამაძე. ამ პარტიის ერთ-ერთი დამფინანსებელი ისიც არის.

– გივი თარგამაძეს ამდენი ფული აქვს?

– მიშას დროს იშოვა. ფულის შოვნაში მას „ოცნებამაც“ შეუწყო ხელი. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ გივი თარგამაძესთან დაკავშირებულ კომპანიას „ოცნება“ ტენდერს ტენდერზე აგებინებს.

მაგათ, ეტყობა, დაავიწყდათ, რომ ეს კაცი ქართველებს საჯაროდ დაგვემუქრა სულის ამოხდით. ხელისუფლებაში თუ დაბრუნდნენ, მართლა ამოგვხდის.

სულის ამოხდის საფრთხე „ოცნებას“ არ ემუქრება. სულს ხალხს ამოხდიან.

– „ოცნებას“ რატომ არ ემუქრება?

– იმიტომ, რომ ახლა ევრონაცები გამოაცხადებენ „ოცნებასთან“ კოჰაბიტაციას და გააგრძელებენ თანაცხოვრებას. მმართველ პარტიას ერთი რამე უნდა ახსოვდეს – ევრონაცები მათ არ ჰგვანან და დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი შეიძლება ციხეში აღმოჩნდეს.

საპრეზიდენტო არჩევნებში „ოცნებამ“ ცივი შხაპი მიიღო და ცოტა ხანი კარგად იქცეოდა, მაგრამ ახლა ისევ აუშვეს და სისულელეს სისულელეზე აკეთებენ.

– სისულელეების კეთებაში რას გულისხმობთ?

– იმას, რასაც ახლა „ოცნება“ აკეთებს. ეს ის ხალხი არ არის, რომ საფრთხეებს გაუმკლავდეს, ამიტომ ურჩევნიათ, შეცდომა არ დაუშვან.

ჩვენ რომ არ გამოვსულიყავით რუსთაველზე და კონტრაქცია არ მოგვეწყო, „ოცნების“ ბევრი წარმომადგენელი უკვე ქვეყნიდან გაქცეული იქნებოდა.

ჩვენ მაშინ ვთქვით, რომ მეორე მხარის მოწყობილ აქციებს ლგბტ თემის წარმომადგენლები ატარებდნენ. ხალხში გაჩნდა მოსაზრება, რომ იქ ლგბტ თემი დგას. ამის მერე შემცირდა იქ ხალხის რაოდენობა.

თავიდან იქ ძალიან ბევრი ადამიანი დადიოდა და „ოცნება“ ამის გამო პანიკაში იყო. პირველ დღეებში პარლამენტში სუნიც კი იდგა.

– რისი სუნი იდგა?

– ჩასვრისა და შიშის. იმედი მაქვს, „ოცნება“ სისულელეებს მოეშვება, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემოდგომაზე სერიოზული პრობლემები ექნება.

ჯოხთაბერიძე თუ ჩხარტიშვილი — ვის მიჰყიდის ხალვაში რუსთავი 2-ს

„პირველი რადიოს“ ინფორმაციით, ქიბარ ხალვაშმა, შესაძლოა, უახლოეს მომავალში რუსთავი 2 გაყიდოს.

ხალვაშმა მინიშნება იმის შესახებ, რომ ის სამომავლოდ კომპანიის გაყიდვას გეგმავდა, ჯერ კიდევ სასამართლო დავების მიმდინარეობისას 2017 წლის 2 მარტს ტვ პირველის ეთერში გააკეთა.

მისი თქმით, ის მთელი ცხოვრება ტელევიზიის მფლობელი არ იქნებოდა.

– მე ვარ კომერსანტი, ვარ ბიზნესმენი, რომელიც აკეთებს ბიზნესს იმისთვის, რომ თავისი ქონება გამრავლდეს. მე ტელევიზია არ მჭირდება იმისთვის, რომ დავიცვა პარტიული ინტერესი ან გავამრავლო ჩემი ქონება. ეს პრაქტიკაში არსებობს.

2 წლის განმავლობაში ვიყავი ხელმძღვანელი. ის არ გამომიყენებია არც ერთი კონკურენტის წინააღმდეგ, არ გამიკეთებია არც ერთი კრიტიკული გადაცემა რომელიმე ბიზნესის საწინააღმდეგოდ. ასე რომ, მე არ ვარ ის ადამიანი, რომელსაც ტელევიზია ძალიან სჭირდება.

ეს ჩემთვის არის მატერიალური ქონება და ჩემი ზარალის ნაწილის ანაზღაურების საშუალება. მე არ ვაპირებ გაყიდვას, მაგრამ ვერ დაგპირდებით, რომ მთელი ცხოვრება ტელევიზიის მფლობელი ვიქნები, – განაცხადა მაშინ ქიბარ ხალვაშმა.

„პირველი რადიოს“ ინფორმაციით, რუსთავი 2-ის შესაძლო მყიდველებს შორის ბიზნესმენები გია ჯოხთაბერიძე და ვანო ჩხარტიშვილი განიხილებიან.

სუს-მა 2 პირი დააკავა — სამედიცინო უნივერსიტეტში ჩარიცხვა ქრთამის სანაცვლოდ

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღებისა და ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი გია ო. და მოქალაქე ლილი ჯ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომელმა გია ო-მ, ლილი ჯ-ს დახმარებით, ამავე უნივერსიტეტში აბიტურიენტის ჩარიცხვისათვის საჭირო გასაუბრების წარმატებით გასავლელად მოქალაქეს ქრთამის სახით გამოართვა 1.000 აშშ დოლარი, რა დროსაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ისინი ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება ქრთამის აღებისა და ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ნათია კუპრაშვილი: „ხალვაშმა სიტყვა უკვე გატეხა, რადგან დვალი რუსთავი 2-ის გენდირექტორად არ დანიშნა“

დაფარვის თვალსაზრისით „ტვ პირველიც“ იმავე აუდიტორიას ფარავს, რასაც ფარავდა რუსთავი 2. ველოდები, რომ „ტვ პირველის“ რეიტინგი გაიზრდება იმ ფონზე, თუ რუსთავი 2 აღარ იქნება ხელისუფლების მიმართ კრიტიკული, თუმცა მიამიტურია იმაზე ფიქრი, თუ ჩვენ ვიტყვით, რომ რომელიმე ახლად შექმნილი ტელევიზია შეძლებს იმავე სახის გავლენის მოპოვებას საზოგადოებრივ აზრზე, როგორიც ჰქონდა რუსთავი 2-ს.

– რუსთავი 2-ში მიმდინარე პროცესები ხომ არ გიჩენთ პარალელებს იმასთან, რაც ხდებოდა 2008 წელს „ტელეიმედთან“ მიმართებით?

– ეს რთული შესაფასებელი საკითხია, სიმართლე რომ გითხრათ. ხელისუფლების პასუხისმგებლობის თემა სწორედ ამ ნაწილში შემოდის, რომ ის არ იძიებს ან ხელოვნურად აჭიანურებს რუსთავი 2-ის დამფუძნებლების თემას. არსებობს ამ საქმეზე ჟურნალისტური გამოძიებები და კონკრეტული ფაქტები.

სწორედ იმიტომ, რომ ხელისუფლებას არ აქვს პოლიტიკური ნება იმისა, რომ მართლა სამართლიანი მედიაგარემო იყოს, ის არ ჰკიდებს ხელს ამ საქმეს. „იმედთან“ მიმართებით პარალელების გავლება შეიძლება, მაგრამ ტოლობის დასმა – არა. არც გარემოა ისეთი და არც ფორმა არ არის ისეთი, როგორიც იყო „იმედთან“ დაკავშირებით. თუმცა, ჩვენ ვუახლოვდებით იმ მდგომარეობას, როდესაც დომინანტ მედიასაშუალებებში ისმოდა ერთი ხმა. ამ სახის საშუალება ნამდვილად დგას.

– გვახსოვს ხალვაშის მხრიდან დაპირება, რომ გენერალურ დირექტორად დანიშნავდა რუსთავი 2-ის ერთ-ერთ დამფუძნებელ დავით დვალს. დღეს ეს გადაწყვეტილება შეიცვალა. თქვენთვის რა ახსნა აქვს ამ გადაწყვეტილებას?

– ესეც ის სიმპტომია, რომ ხელისუფლებას არ უნდა არც დამოუკიდებელი მედიის შექმნა რუსთავი 2-ის ბაზაზე და არც სამართლიანობის აღდგენა.

ჯერ ერთი, როგორც აღვნიშნე, პროკურატურა არ იძიებს და მეორეც, ქიბარ ხალვაში თავის დროზე ამბობდა, რომ 50%+1 წილი იქნებოდა დავით დვალისა და ჯარჯი აქიმიძის. ისინი იქნებოდნენ რუსთავი 2-ის განმკარგავები, ხოლო დავით დვალი, ამავდროულად, იქნებოდა გენერალური დირექტორი. დღეს ვხედავთ, რომ დვალი არ არის დირექტორი და ქიბარ ხალვაშმა თავის სიტყვას უკვე გადაუხვია.

შესაბამისად, ვერანაირი ილუზიები ვერ გვექნება იმასთან დაკავშირებით, რომ დამოუკიდებელი არხის შექმნა უნდათ.

ირაკლი ოქრუაშვილი: „რუსთავი 2 იყო ჩემი საკუთრება. ის ქიბარ ხალვაშის არასდროს ყოფილა“

ირაკლი ოქრუაშვილმა „შაბათის კურიერს“ ინტერვიუ მისცა და დეტალურად ისაუბრა იმაზე, თუ როგორ გადაფორმდა რუსთავი 2 ვარდების რევოლუციის შემდეგ.

ოქრუაშვილის განცხადებით, 2004 წელს, სამაუწყებლო კომპანიის შეძენის მიზნით მოლაპარაკებები ქიბარ ხალვაშს არასდროს უწარმოებია და ამ პროცესში ის თავად იყო ჩართული.

– ის რუსთავი 2-ს ვერც ერთ შემთხვევაში და ვერასდროს შეიძენდა, რომ არ ყოფილიყო მის უკან გარკვეული სახის ზურგი, ეს ზურგი ვიყავი მე. ეს ზურგი იყო ის პოლიტიკური გუნდი, რომელსაც მე წარმოვადგენდი. „რუსთავი 2?-ის ყველა მოლაპარაკება იყო ნაწარმოები ჩემ მიერ ეროსი კიწმარიშვილთან იმის გამო, რომ მასთან მაკავშირებდა საკმაოდ ახლო და საქმიანი ურთიერთობა და ასევე მის პარტნიორებთან, დვალთან და აქიმიძესთან და დეტალებზეც შემიძლია ვისაუბრო, – განაცხადა ოქრუაშვილმა.

ის შეხვდა დვალსა და აქიმიძეს, მათ შორის, ჯემალ იმნაიშვილის თანდასწრებითაც, რომელიც მათთან მოლაპარაკებებში ეხმარებოდა.

– დვალს და აქიმიძეს შევხვდი არაერთხელ, ერთხელ შევხვდი რამდენიმე ადამიანის თანდასწრებით, ერთხელ შევხვდი ჯემალ იმნაიშვილის თანდასწრებით, რომელიც იყო მათი ნდობით აღჭურვილი პირი და მე გამოვიყენე ეს პიროვნება მომლაპარაკებლად მათთან მიმართებით, გარკვეული სახის ნდობა რადგან გააჩნდა და მისი ხელით გადავეცი ფული, – ამბობს ოქრუაშვილი.

დვალთან და აქიმიძესთან რთული აღმოჩნდა მოლაპარაკება.

– დვალთან და აქიმიძესთან მოლაპარაკების მთელი ინტრიგა მდგომარეობდა ერთ რამეში. ეროსი კიწმარიშვილს სურდა, რომ ჯერ მათთან მოგველაპარაკა, ის თანახმა იყო თავის წილის გაყიდვაზე, 30 პროცენტს ფლობდა და თუ დვალი და აქიმიძე დათანხმდებოდნენ და ჩვენ დავითანხმებდით, შემდეგ ისიც დათანხმდებოდა. დვალთან და აქიმიძესთან საკმაოდ რთული აღმოჩნდა მოლაპარაკება, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მათ მიიღეს 2 მილიონ დოლარამდე ამ ყველაფერში, 60-პროცენტიან წილში. დღეს მათი მხრიდან გარკვეული სახის წუწუნი, კაპრიზი, რომ თითქოს მათ წილები წაართვეს, ეს არის ზღაპარი, – განაცხადა ოქრუაშვილმა.

მან რუსთავი 2-ის წილების მისაღებად ანგარიშსწორება ნაღდი ფულით გააკეთა.

– ეს ფული იყო ნაღდი ფული – მილიონ 200 ათასი დოლარი, ჩემი ხელით იქნა გაგზავნილი ჯემალ იმნაიშვილის მეშვეობით მათთან და ჯემალ იმნაიშვილი ამას ადასტურებს პროკურატურაში გამოკითხვის ჩვენებაში და მეორე, ეროსი კიწმარიშვილთან, დვალთან და აქიმიძესთან გაცილებით ადრე მაკავშირებდა მე საქმიანი ურთიერთობა, დაახლოებით 2000 თუ 2001 წლიდან, როდესაც მათ დააარსეს კომპანია „ჯორჯია ონლაინი“.

2000 თუ 2001 წელს ეროსი კიწმარიშვილი მოდის ჩემთან და მეუბნება, რომ ამ ახალი კომპანიისთვის მათ სჭირდებათ ფული და თანახმა ვარ თუ არა მე, შევიძინო ამ კომპანიის 10 პროცენტი. ვყიდულობ ამ კომპანიის 10 პროცენტს, ვაფორმებ საკუთარ მამიდაშვილზე, ბესიკ კასრაძეზე, საჯაროა ეს ინფორმაცია, არსად დამალული არ არის და ვუხდი ამაში არცთუ ისე ნაკლებ თანხას, შემდეგ ეს კომპანია დიდდება, იზრდება და ა.შ. და, ბუნებრივია, გარკვეული სახის ურთიერთობა ამ კომპანიის წილის მფლობელობიდან გამომდინარე, მე მათთან მაკავშირებდა.

2004 წელს, ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე თვეებისთანავე, ეროსი კიწმარიშვილს გაუჩნდა ფინანსური პრობლემები და გარკვეული სახის მოტივაცია, რომ კომპანია რუსთავი 2 გაეყიდა. სულზე მივუსწარი მე მას, როდესაც „ნიუს კორპისგან,“ რომლის უკანაც ბადრი პატარკაციშვილი იდგა, აღებული ჰქონდა ბეს სახით 800 ათასი დოლარი და უკვე შეთანხმებული იყო მათთან კომპანიის გაყიდვაზე ისე, რომ დვალიც და აქიმიძეც ამ მოლაპარაკების მონაწილეები იყვნენ და მისთვის დასტური მიცემული ჰქონდათ.

ამ დროს მივდივარ მე მათთან და ვეუბნები, დააბრუნეთ ეგ ფული უკან, მე მოგცემთ ჩემს 10 პროცენტს უსასყიდლოდ, რომელიც „ჯორჯია ონლაინში“ გამაჩნია და მაშინ კომპანიის კაპიტალიზაცია, დაახლოებით, 8 მილიონ დოლარს წარმოადგენდა და, შესაბამისად, ჩემი წილი, 10 პროცენტი, რაც არის, გასაგებია, ამას გიტოვებთ მე თქვენ „ბედ“ და დანარჩენ თანხას გადაგიხდით გარკვეული დროის შემდეგ.

ამის შემდეგ გარკვეული თვეების განმავლობაში ჩვენ მათთან გარიგება დავასრულეთ, ფული გადავუხადეთ და ამით ყველაფერი დამთავრდა.

იყო გარკვეული სახის პრეტენზიები სულ, რომ იქნებ ეს ბიზნესი დაგვითმოთ, იქნებ ის ბიზნესი მოგვცეთ და ისეთი სახის მოთხოვნები

ჰქონდათ, შეიძლება, ჭკუიდან გადასულიყავი ადამიანი. ითხოვდნენ ჯოხთაბერიძის „მაგთიკომს“, ითხოვდნენ რკინიგზას დვალიც, აქიმიძეც და ყველა სხვა დანარჩენი, – განაცხადა ოქრუაშვილმა.

კითხვას, თუ რა ინტერესი იყო მაშინდელი ხელისუფლებისა რუსთავი 2-ის მიმართ, ოქრუაშვილი ასე პასუხობს:

– რუსთავი 2 იყო მაშინაც, რუსთავი 2 არის დღესაც და რუსთავი 2 იქნება ხვალაც ფლაგმანი ამ ქვეყანაში როგორც პოლიტიკის წარმართვის თვალსაზრისით, ისე თავისუფლების, თავისუფალი სიტყვის თვალსაზრისით, აზრის გამოხატვითა და სხვა კუთხით.

ოქრუაშვილი ასევე ამბობს, რომ ხელისუფლებაში მოსულ მაშინდელ გუნდს უნდოდა, ჰქონოდა მედია, რომელიც „იმედს“ დააბალანსებდა. ოქრუაშვილი ამბობს, რომ სააკაშვილთან ურთიერთობის დაძაბვის შემდეგ მას მოუწია, სამაუწყებლო კომპანია დაეთმო გუნდისთვის.

– ახალი ხელისუფლების ინტერესი იყო, რომ ჰქონოდა მედია, რომელიც დააბალანსებდა პატარკაციშვილის „იმედს“, რომელსაც ჰქონდა აბსოლუტურად განსხვავებული ინტერესები, გარკვეული სახის ინტერესები ჩნდებოდა, გაჩნდებოდა უფრო სწორად, თუ ამ კომპანიის პირდაპირი მყიდველი ვიქნებოდი მე, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი.

მე მქონდა ძალიან მარტივი არჩევანი, რომ მომეძებნა ადამიანი, რომელიც იქნებოდა გარკვეული ბიზნეს ბეგრაუნდის მატარებელი. ასე რომ, ხალვაში იყო ყოველთვის ნომინალური პირი, ყოველთვის ფიქტიური პიროვნება იმ ტიპის გარიგებებში, რაც რუსთავი 2-ს შეიძლება შეეხებოდეს.

არასდროს მომისმენია, როდის, რა ეტაპზე და რა სახის მოლაპარაკებებს აწარმოებდა ხალვაში დვალთან, აქიმიძესთან თუ კიწმარიშვილთან წილების შეძენაზე, იმიტომ, რომ მსგავსი რამ არ ყოფილა, რეალური პიროვნება ვიყავი მე. ის ამას არასდროს უარყოფდა, რომ რუსთავი 2 იყო „ჩემი საკუთრება“, – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

მან გაიხსენა, რომ 2006 წლამდე ერთი წლის განმავლობაში და მანამდეც საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა სააკაშვილთან.

– მიუხედავად იმისა, რომ რეალური მესაკუთრე რუსთავი 2-სა მე ვიყავი, „რუსთავი 2“ ითვლებოდა გუნდის ინტერესების გამომხატველად. როდესაც მივდივარ ეკონომიკის მინისტრობიდან, ცოტა უცნაური პროცესები განვითარდა მაშინ, კიევში ვიყავი ოფიციალური ვიზიტით და იქიდან გამოვგზავნე გადადგომის განცხადება. ამ დროს იწყებს სააკაშვილი ხალვაშის დაბარებას და თქმას, რუსთავი 2 უნდა გადმოგვიფორმო და ხალვაში ეგრევე მირეკავს მე, ეს შენია და შენ უნდა გადაწყვიტოო.

ჩემი გადაწყვეტილება იყო ძალიან მარტივი – მიეცი, იმიტომ, რომ მე მათთან ურთიერთობა დავამთავრე, ხალვაში ჩემ გარეშე ამ საკითხსაც ვერ გადაწყვეტდა ვერასდროს, მე რომ წინააღმდეგი წავსულიყავი. არასამართლიანად დაათმობინეს, მაგრამ არა მას, არამედ მე, ძაღლის თავი ამაშია დამარხული, – აღნიშნა ოქრუაშვილმა.

ოქრუაშვილის თქმით, უკვე 2016 წელს ის ყიდულობს ასევე „მაესტროს“ წილებს და ამასაც კვლავ ნომინალურად, ქიბარ ხალვაშის სახელზე აფორმებს და ეს ხელშეკრულება ბერლინში ფორმდება. ბერლინშივე ხდება იმ დოკუმენტზე ხელის მოწერა, რომელიც ადასტურებს, რომ რუსთავი 2 ქიბარ ხალვაშის არასდროს ყოფილა და რომ ის იყო ნომინალური მფლობელი.

– 2010 წელს კიწმარიშვილი მთავაზობს მაესტროს წილების შეძენას და ისევ იქიდან გამომდინარე, რომ მე არ შემიძლია ამ წილების ჩემზე გაფორმება, ხალვაში მიმყავს ნოტარიუსთან ბერლინში და ვაფორმებთ მაესტროს წილებს, ვბრუნდებით სახლში მასთან. მაესტროს მედიის მმართველი კომპანიის მეწილე ხდება, 50 პროცენტის 2010 წლის 4 თებერვალს, როდესაც არის დათარიღებული ის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მე რუსთავი 2-ზე პრეტენზია გამაჩნია.

იმავე დღეს ჩვენ ვაფორმებთ ამ ხელშეკრულებას რუსთავი 2-თან დაკავშირებით და ყველა იმ ვალის აღიარებას, რომელიც მას ჩემთან მიმართებით გააჩნია.

იმის ძახილი, რომ ეს არ არის მისი ხელმოწერა, ეს არის გაყალბებული, ბავშვი არ ვარ და მშვენივრად მესმის, რა ტიპის ხაფანგში შეიძლება შეხვიდე ადამიანი, თუ რამე „ფეიკთან“ გაქვს საქმე. 8 თვეა, ექსპერტიზაზეა გაგზავნილი დოკუმენტის დედანი იმისთვის, რომ დადგინდეს მისი ხელმოწერის ნამდვილობა, 8 თვის განმავლობაში ექსპერტიზა, სასამართლო მას სთხოვს, რომ გამოცხადდეს სამხარაულის ბიუროში იმისთვის, რომ დატოვოს ხელმოწერები ამ დოკუმენტზე არსებული ხელმოწერის შესადარებლად, რომ იდენტურობა დადგინდეს, ყალბია თუ არ არის ყალბი.

როდესაც ეს კითხვები დასვეს, ბუნებრივია, მე მივუტანე სასამართლოში დედანი და ვუთხარი, აგერ, ბატონო, არ გჯერა ჩემ მიერ ჩატარებული სამი ექსპერტიზის? ერთი საფრანგეთში, ორი საქართველოში, კი ბატონო, ჩაატაროს სახელმწიფო უწყებამ სახელმწიფო უწყებაში“ 8 თვის განმავლობაში ეს ადამიანი ვერ მიიყვანეს იმისთვის, რომ 3 ხელმოწერა გააკეთოს, რომ ექსპერტმა მერე სამი ხელმოწერა შეადაროს, – განაცხადა ოქრუაშვილმა.

ოქრუაშვილის თქმით, რუსთავი 2-ის დღევანდელი სახით შენარჩუნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ის მზად არის, სამაუწყებლო კომპანიის წილის 80 პროცენტი ტელეკომპანიის 10 ჟურნალისტს გადაუფორმოს.

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ინტერვიუში მიტინგების დაფინანსებაზეც ისაუბრა.

– სააკაშვილის დროს რუსთაველზე მიმდინარე მთელი მიტინგების პროცესი უმეტესწილად დაფინანსებული იყო ჩემ მიერ. ამას ვაკეთებდი არა ჩემი ფულით, – აღნიშნა მან.

კითხვაზე, მოახდინა თუ არა მან გარკვეული ზეწოლა თანხების მოსაპოვებლად იმ ადამიანებზე, ვინც ფული გადაიხადა, ოქრუაშვილმა ასე უპასუხა:

– ერთი ადამიანი მაინც უნდა გამოჩნდეს, რომელიც იტყვის, მე ფული მომთხოვესო.

სავაჭრო ცენტრ საბას მოიჯარეები ტოვებენ

საბანკო რეგულაციებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ სავაჭრო ცენტრ საბას მოიჯარეები ტოვებენ. როგორც BM.GE-ს ერთ-ერთმა მოიჯარემ განუცხადა, მარტო მისი სართულიდან დაახლოებით 5-6 მოიჯარე გავიდა. ზოგიერთი მოიჯარის თქმით კი, ეს რიცხვი 5-6-ზე მეტს შეადგენს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბაში მოიჯარეებს განვადებებით გაყიდვები 30%-დან 99%-მდე შეუმცირდათ. მათი განცხადებით, მიუხედავად ამისა, ისინი ავეჯზე და საყოფაცხოვრებო ნივთებზე ფასს ვერ აძვირებენ, რადგან ეს მომხმარებლის კიდევ უფრო მეტად კლებას გამოიწვევს.

მოიჯარეების თქმით, რამდენიმე მათგანმა შიდა განვადებების სისტემაზე გადასვლა ცადა, თუმცა ამის გამო ფულადი ზარალი ნახა, რადგან იქ, სადაც სასესხო ვალდებულებების ნაწილში ბანკი არ არის ჩართული, მომხმარებელი გადახდის პროცესს თავს არიდებს.

საქართველოში წარმოებული ავეჯის კომპანიის მოიჯარე ლილი ბერაძეს განვადებებით გაყიდვები 99%-ით შეუმცირდა, ხოლო ხელზე გაყიდვები – 40%-ით. ლილი ბერაძე იჯარაში თვის განმავლობაში დოლარის ეკვივალენტში საშუალოდ 1350 ლარს იხდის და ლარის გაუფასურება მის კომპანიაზე პირდაპირ გავლენას ახდენს. მოიჯარე ეროვნულ ბანკს განვადებების სისტემის ძველი ფორმით დაბრუნების თხოვნით მიმართავს.

საერთოდ აღარ კეთდება განვადება და ქვეყანაში რთული ეკონომიკური სიტუაციის გამო მომხმარებელი ზოგადად შემცირებულია.

მომხმარებელი განვადებას როდესაც აკეთებდა, მას პროდუქცია მიჰქონდა. ახლა ესეც აღარ არის. ჩვენ ფაქტობრივად მომხმარებელი არ გვყავს და ვინც არის, ისინი შედარებით შეღავათიან ფასებში ითხოვენ პროდუქციას.

უნდა დაუშვან განვადებები, რადგან 80% ჩვენ განვადებით გავცემდით ავეჯს. ეს ფაქტობრივად კატასტროფაა ჩვენს საქმეში.

– 3 ადამიანი მოვიდა, რომელმაც მხოლოდ ფასები დააკონკრეტა და წავიდა. ადრე კი დღის განმავლობაში დაახლოებით 10-დან 7 მყიდველი შემოდიოდა. შიდა განვადებას ვერ გავაკეთებთ, რადგან მომხმარებელს გადახდა გაუჭირდება. ჩვენ იმხელა ბერკეტები არ გვაქვს, როგორიც აქვს ბანკს, – განმარტა ლილი ბერაძემ.

ცნობისთვის, 2019 წლის პირველი იანვრიდან სესხების გაცემაზე ახალი პირობები ამოქმედდა. ძალაში შევიდა ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული, ფიზიკურ პირებზე პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დებულება, რომლის თანახმადაც, ამ რეგულაციით სესხის გამცემს ევალება, შეაფასოს მსესხებლის გადახდისუნარიანობა და არ გასცეს ფიზიკურ პირზე იმაზე მეტი თანხის სესხი ან დააკისროს სხვა ვალდებულება (მაგ. თავდებობა).

კომერსანტი

„თელავის ღვინის მარანი“: „რუსეთის ბაზარი არამყარი, მაგრამ მომგებიანია“

„თელავის ღვინის მარნის“ ხელმძღვანელი ზურაბ რამაზაშვილი რუსეთის ბაზარს ქართული ღვინისთვის მნიშვნელოვან და მომგებიან ბაზრად აფასებს, თუმცა, მისი პროდუქციიდან მხოლოდ 10% გააქვს მეზობელ ქვეყანაში.

როგორც ბიზნესმენი ბმ.გე-სთან აცხადებს, ამის მიზეზი პრაგმატული მიდგომაა, რადგან დღევანდელი მმართველობის პირობებში რუსეთი მყარი ბაზარი არ არის.

– რასაკვირველია, რუსეთი ძალიან მნიშვნელოვანი ბაზარია, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ქართული ღვინის ცნობადობა მაღალია, პოზიტიური განწყობაც მაღალია. გაყიდვებისათვის ეს პოზიტიური განწყობა უაღრესად მნიშვნელოვანია და ეს ფაქტორი თანამედროვე ბაზარზე მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღების დროს.

თუმცა, მეორე მხრივ, არსებობს პოლიტიკა და ამაში ჩარევა არ მინდა.

ჩვენს ბიზნესქცევას, რომ რუსეთში პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილი გაგვაქვს, განაპირობებს პრაგმატული გადაწყვეტილება, რომ რუსეთის გადაწყვეტილებები ხშირად არ არის მოტივირებული ბიზნესკანონებით, შესაბამისად, რუსეთის ბაზარი არამყარია ამ პოლიტიკური მმართველობის პირობებში, – აცხადებს რამაზაშვილი.

თუმცა, მისივე თქმით, ქართული ღვინის რეალიზაციის დიდი მაჩვენებელი მოდის სწორედ რუსეთზე, ამიტომ შეფასებების გაკეთებისას არ უნდა დავივიწყოთ ისეთი მეწარმეები, რომლებიც სრულად დამოკიდებული არიან რუსეთზე.

– უშუალოდ ჩვენი მეურნეობა რამდენიმე ქვეყანაზეა ორიენტირებული, მათ შორის არის პოლონეთი, საიდანაც ღვინო გადის მთელ ევროპაში, ასევე მნიშვნელოვანია ჩინეთის ბაზარი, ყაზახეთი, უკრაინა, ბალტიის ქვეყნებია მნიშვნელოვანი, ასევე აშშ, ჰონგ კონგი და ა.შ. – აცხადებს რამაზაშვილი.

კომერსანტი

„კობახიძეს უნდა სცოდნოდა, რომ გავრილოვი რუსი მზვერავია“

ვახტანგ მაისაია: „ასიმეტრიული საფრთხეების უკან რუსეთი დგას“

გულიკო ბალაძე

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალ თაობასთან“ რუსეთიდან მომავალ პირდაპირ თუ ასიმეტრიულ საფრთხეებს აფასებს.

– ბატონო ვახტანგ, საქართველოს რუსეთიდან რა ასიმეტრიული თუ პირდაპირი საფრთხეები გვემუქრება?

– პირველ რიგში, რუსეთისგან გვემუქრება ეკონომიკური ომი, ქართველების ეთნიკური წმენდისა და დევნის მომენტები, სამხედრო გააქტიურება ოკუპირებული ცხინვალისა და აფხაზეთის ტერიტორიებზე, სამხედრო მუქარის სახით. კიდევ ბევრი ფაქტორი შეიძლება წამოსწიონ, მაგალითად, კიბერშეტევები, საინფორმაციო ომის წარმოება, რაც გააქტიურდება გარკვეული პერიოდის შემდეგ. შეიძლება, საქართველოში არსებული გავლენის ჯგუფები გააქტიურდნენ, რომლებიც რეალურად რუსულ ძალებს წარმოადგენენ.

– ზოგადად, კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების წინააღმდეგ რა ასიმეტრიული სამხედრო გამოწვევაა, რომელიც რუსეთიდან მომდინარეობს?

– ზოგადად, კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებისთვის ასიმეტრიული სამხედრო გამოწვევაა რუსეთის ფედერაციის ოპერატიულ-სტრატეგიული სარდლობა „სამხრეთი“.

იქ არის ჩეჩნეთის პრეზიდენტ კადიროვის შენაერთები, რომლებიც შედიან რუსეთის ეროვნული გვარდიის სარდლობაში. რუსეთის ეროვნული გვარდია ჩრდილო კავკასიაშია დისლოცირებული და რუსეთის ოპერატიულ-სტრატეგიული სარდლობა „სამხრეთის“ სარდალს ექვემდებარება. ამ ტერიტორიაზე განლაგებულია 4 ბრიგადა. ეს არის სამთო-მოიერიშე და სპეცდანიშნულების მე-10, 22-ე, 33-ე, 34-ე ბრიგადები, რომლებიც ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს ასიმეტრიული სამხედრო ოპერაციებისთვის.

ეს ბრიგადები, ფაქტობრივად, რუსეთის ფედერაციის ეროვნული თავდაცვის ცენტრის სპეციალური ოპერაციების სარდლობას ექვემდებარება. ასე რომ, ეს ყველაფერი ერთ კომბინაციებში უნდა განვიხილოთ.

– კადიროვის დაქვემდებარებაში მყოფი ძალებიც რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ სარდლობას ექვემდებარება?

– დიახ, ოპერატიული-სამხედრო სარდლობა „სამხრეთს“ ემორჩილება. მართალია, ისინი ფორმალურად ემორჩილებიან რუსეთის ეროვნული გვარდიის სარდალ მოლოტოვს, მაგრამ სამხედრო-ოპერატიული კუთხით ისინი ექვემდებარებიან ასევე ოპერატიულ-სამხედრო სარდლობა „სამხრეთს“.

– სანამ გავრილოვი საქართველოში ჩამოვიდოდა და პროტესტი აგორდებოდა, კარასინი იმუქრებოდა, რომ თუ ნატოში გაწევრიანებისთვის ბრძოლას გავაგრძელებდით, სერიოზული პრობლემები გვექნებოდა. ხომ არ ხედავთ რაიმე ბმას კარასინის მუქარას, გავრილოვის საქართველოში ვიზიტსა და მის თანმდევ მოვლენებს შორის?

– შეიძლება, ერთი სცენარის ორი ჯაჭვი იყოს. გავრილოვი საქართველოში შემთხვევით არ ჩამოსულა. მან ჩაატარა ბრწყინვალე ოპერაცია, რამაც გამოიწვია სიტუაციის არევა და გართულება, პანიკის დათესვა საქართველოს მოსახლეობაში და პანიკური განწყობების შექმნა.

– კიბერშეტევა ძალიან კარგად განხორციელდა 2008 წელს.

– კიბერშეტევა არა მარტო 2008 წელს განხორციელდა, არამედ 2007-2008 (აგვისტოში)-2009-2011 წლებში და კიდევ ხორციელდება. რამდენიმე დღის წინაც იყო კიბერშეტევის მცდელობები. 2008 წლის ნოემბერში ჩემი კომპიუტერიც დააზიანეს ჰაკერებმა. მაშინ სახელმწიფო სტრუქტურებზე მოხდა თავდასხმა და სერვერები გაითიშა. ჩემი კომპიუტერიც საერთოდ გაითიშა, ფუნქციონირება შეწყვიტა, წამეშალა მასალები და მათი აღდგენა შეუძლებელი გახდა.

– ცხადია, ამან სერიოზული ზიანი შეიძლება მოიტანოს.

– დიახ. ასიმეტრიული საფრთხეები არის ფარული, რომლის დადგენა ძალიან რთულია. მის უკან რუსეთი დგას, იოლად შეიძლება შენიღბო სხვადასხვა კატასტროფის სახით.

– თქვენ საქართველოში არსებული გავლენის ჯგუფების გააქტიურებაზე გაამახვილეთ ყურადღება. თუ სწორად მახსოვს, რბილი ძალის შესახებ უცხოეთში წიგნი გამოეცით.

– დიახ. პოლონეთში არსებულ გავლენიან გამოცემა „ახალ აღმოსავლეთ ევროპაშიც“ დაიბეჭდა ჩემი სტატია „კრემლის პოლიტიკური კლანების შესახებ“. სხვათა შორის, რუსეთში არსებული სამხედროების კლანის ქმედებაში გავრილოვის ქმედებაც შეიძლება მოიაზრებოდეს.

– საქართველოში ბოლოდროინდელ მოვლენებში რბილი ძალის გამოყენებას სად ხედავთ?

– რბილი ძალის გამოყენებაა გავრილოვის ჩამოსვლა, გავრილოვის მიერ პარლამენტის თავმჯდომარის სკამის დაკავება, სესიის რუსულ ენაზე წაყვანა. ეს სესია ინგლისურ ენაზე უნდა წარმართულიყო.

რბილი ძალის პოლიტიკა ხორციელდება არა სამხედრო, არამედ საინფორმაციო, პროპაგანდისტული, კულტუროლოგიური ელემენტებით. ამგვარი ელემენტების გამოყენებით ხორციელდება ზემოქმედება საზოგადოებაზე, ქვეყნის გეოპოლიტიკურ სტატუსზე.

– რუსეთი საქართველოში ატარებს როგორც რბილი, ასევე უხეში ძალის პოლიტიკას.

– არსებობს რბილი ძალა, ხისტი ძალა და კიდევ ჭკვიანი ძალა, რომლის კომბინაციაც ხდება ხოლმე რბილ ძალასთან, რაც კობახიძემ არ იცოდა.

– შეიძლება, არ იცოდე, მაგრამ, ელემენტარულად, ხომ უნდა მიხვდე?

– დიახ, შეიძლება, თქვენ არ იცოდეთ, მაგრამ პარლამენტის თავმჯდომარემ უნდა იცოდეს. არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ, ურჩიონ. მე მხოლოდ გავრილოვის ბიოგრაფიიდან მნიშვნელოვანი დასკვნები გავაკეთე, რომ ის არის პროფესიონალი მზვერავი. არსებობს საგარეო დაზვერვის სამსახური, უსაფრთხოების სამსახური, ანალიტიკური სამსახური და სხვა სამსახურები, რომლებმაც პარლამენტის თავმჯდომარეს ინფორმაცია უნდა მიაწოდონ.

– როგორც ჩანს, უსაფრთხოების სახელმწიფო სამსახურები არ მუშაობენ.

– ამას ვერ ვიტყვი, რადგან დაზვერვისა და ანტიტერორისტული სამსახური უზრუნველყოფენ კიბერუსაფრთხოებას, მაგრამ დანარჩენი სპეცსამსახურების მუშაობა კითხვის ნიშნებს იწვევს.

– გავრილოვის ოპერაციის შედეგებზე პროტესტი დღემდე გრძელდება, თუმცა ახლა ყურადღება შეიძლება რუსთავი 2-ზე გადავიდეს, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ ტელეკომპანიის მფლობელი ქიბარ ხალვაში გახდა. ყველაფერთან ერთად, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამ ფაქტს ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაზე?

– გავრილოვის სპეცოპერაციას ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენა უკვე ჰქონდა – პოლიტიკური სიტუაცია აირია, ქვეყანა შევიდა ღრმა პოლიტიკურ კრიზისში. შიშის ფაქტორი ამოქმედდა.

ბუნებრივია, რუსთავი-2-ის მფლობელის ცვლილებითაც იქნება ცვლილება, რადგან ეს ტელეკომპანია განსაზღვრავდა პროპაგანდისტულ ხაზს და პოლიტიკურ ცხოვრებას ნაცმოძრაობის ხაზით. ევროსასამართლოს გადაწყვეტილება სრულიად დაბალანსებული, სწორი გადაწყვეტილებაა და საერთაშორისო სამართლის ნორმებს შეესაბამება. მათ საკითხი კარგად შეისწავლეს და დარწმუნდნენ, რომ ეს ტელევიზია იყო პროპაგანდისტული იარაღი.

– პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული?

– რა თქმა უნდა. გენდირექტორი იყო გენერალური პროკურორის მოადგილე სააკაშვილის მმართველობის დროს. ეს ყველაფერი იმდენად თვალშისაცემი გახლდათ, რომ ევროსასამართლომაც დააფიქსირა. გვარამია ვინ იყო, კარგად ვიცით. მან პირველმა გაამართლა 7 ნოემბრის საშინელი დარბევა.

მაღალი დონის ადამიანის უფლებათა სასამართლომ გამოიტანა თავისი ვერდიქტი. ეს ტელეკომპანია პროპაგანდისტული ტელევიზია აღარ იქნება, რაც მედიაპლურალიზმს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

– ნაცმოძრაობის წარმომადგენლები პირიქით ფიქრობენ, რომ ეს იქნება დემოკრატიაზე დარტყმა.

– ნაცებმა მიხედონ თავიანთ საქმეს. ავტორიტარული რეჟიმის დამქაშებს უფლება არ აქვთ, დემოკრატიაზე ილაპარაკონ. ნაცმოძრაობის აზრი ნამდვილად არ მაინტერესებს. ნაცისტურ გერმანიაში არსებობდა ნაციონალ-სოციალისტური პარტია. ასეთი ტიპის პარტიას დღეს საქართველოში ნაციონალები წარმოადგენენ. ნაცისტური პარტიისა და თუნდაც ცალკეული წარმომადგენლების მოქმედებები კანონმა უნდა განსაჯოს.

– ნიკა გვარამიას წარსულმა გავლენა მოახდინა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაზე?

– დიახ, ყველამ გაიგო, რომ ნიკა გვარამია იყო ავტორიტარული რეჟიმის პოლიტიკოსი და მთავარი პროკურორის მოადგილე. ავტორიტარული რეჟიმის, მმართველი პოლიტიკური ძალის ლიდერისა და გენერალური პროკურორის მოადგილის ბიოგრაფიას, რომელმაც ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა გაამართლა, სტრასბურის სასამართლოს მოსამართლე უყურადღებოდ დატოვებდა?!

– თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ ამ საქმეში მონაწილე მოსამართლეების ოჯახის წევრების ქმედებებიც იქნა შესწავლილი.

– რა თქმა უნდა, შეისწავლიდნენ. ყოფილი პროკურორი, გენპროკურორის მოადგილე, რომელიც ამართლებს ტელეკომპანიის დარბევას, ვერ იქნებოდა მედიაპლურალიზმის გამომხატველი სუბიექტი.

„ავტოიმპორტიორებს შემოსავალი და გაყიდვები არა საბანკო რეგულაციებმა, არამედ ქვეყანაში არსებულმა ზოგადმა კლიმატმა შეუმცირა“

– ავტოიმპორტიორებს შემოსავალი და გაყიდვები არა საბანკო რეგულაციებმა, არამედ უფრო ქვეყანაში არსებულმა ზოგადმა კლიმატმა შეუმცირა, – ამის შესახებ „კომერსანტს“ „საქართველოს საბანკო ასოციაციის“ პრეზიდენტმა ალექსანდრე ძნელაძემ განუცხადა.

მისი განცხადებით, ავტოსესხთან დაკავშირებით საბანკო რეგულაციები ბევრად უფრო ლოიალურია, ასევე არსებობს ლიზინგის საშუალებაც. „ავტომანქანის შემთხვევაში, მოძრავი ქონების დაგირავების (ავტომანქანის) შემთხვევაში, ბანკს თუ აქვს სურვილი, შეუძლია საერთოდ არ განიხილოს შემოსავალი. შესაბამისად, მოთხოვნა მხოლოდ ამ ავტომანქანაზე ექნება“, – აცხადებს ძნელაძე.

„საბანკო ასოციაციის“ პრეზიდენტი განმარტავს, რომ საბანკო სექტორში ეს რეგულაცია რომც არ შემოსულიყო, ზრდის ის ტემპი არ იქნებოდა, რაც შარშან იყო. „არსებობს უამრავი სხვა რეგულაციები და უამრავი სხვა ხელისშემშლელი ფაქტორი, რომ შარშანდელი ტემპი საბანკო სექტორში, განსაკუთრებით სამომხმარებლო სექტორში არ გაგრძელდებოდა“ – აცხადებს ძნელაძე.

20118 წლის 7 მაისიდან ეროვნული ბანკის რეგულაციების ძალაში შესვლის შემდეგ ბანკები სესხებს შემოსავლების დადასტურების გარეშე ვეღარ გასცემენ. 2019 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საფინანსო ბაზრისთვის „პასუხისმგებლიანი დაკრედიტების“ მოთხოვნები ამოქმედდა.

იპოთეკური სესხების მიმართულებით რეგულაციები შერბილდა, თუმცა, მისი გადახედვა სამომხმარებლო სესხების ნაწილში ამ ეტაპზე არ იგეგმება.

აქვე აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღის წინ, „ტოიოტა ცენტრი თბილისის“ დამფუძნებელმა ირაკლი გურჩიანმა „კომერსანტს“ განუცხადა, რომ საბანკო რეგულაციებმა „ტოიოტა ცენტრი თბილისს“ გაყიდვები გაუნახევრა. მისი თქმით, მყიდველი ბევრია, თუმცა, რეგულაციების შემდეგ ბანკები სესხების გაცემაზე კლიენტებს 90%-ს უარს ეუბნებიან.

– ბოლო 3-4 წლის განმავლობაში გაყიდვების დიდი წილი განვადებაზე მოდიოდა. ვინაიდან მანქანა ცოტა მსხვილი შენაძენია, ყოველთვიურად, კლიენტს უწევს საშუალოდ 1500 ლარის გადახდა. რეგულაციების გათვალისწინებით კი სესხი იმ შემთხვევაში გაიცემა, თუ მსესხებლის ხელფასი დაახლოებით, 3000 ლარს შეადგენს. ასეთი შემოსავლის მქონე საქართველოში ძალიან ცოტაა. ეს ყველაფერი კი ჩემს ბიზნესზეც აისახა. გაყიდვების დიდი წილი ძირითადად იაფიან, პატარა მანქანებზე მოდის, – აცხადებს გურჩიანი.

რას ვყიდით და ვყიდულობთ თურქეთში



საქართველოსთვის თურქეთი უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად რჩება. საქსტატის მონაცემებით, 2019 წლის იანვარ-ივნისში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 5 968.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

რაც შეეხება ქვეყნის უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს, სამეულშია: თურქეთი (843.0 მლნ აშშ დოლარი), რუსეთი (677.8 მლნ აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (508.9 მლნ აშშ დოლარი).

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ ტოპ-5 პროდუქტს, რომელსაც ყველაზე დიდი რაოდენობით ვყიდით თურქეთში და ასევე, რომელიც იქიდან შემოგვაქვს.

2019 წლის იანვარ-ივნისში, საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფი ტრიკოტაჟის ნაწარმი იყო, რომლის ექსპორტმაც 22,1 მლნ დოლარი შეადგინა. მას მოსდევს ნახევარფაბრიკატები ნახშირბადიანი ფოლადისაგან – 18,7 მლნ დოლარით, მე-3 ადგილზე გავიდა სპილენძის მადნები და კონცენტრატები, რომლის ექსპორტიც 13,7 მლნ დოლარი იყო, მე-4 ადგილზეა ფეროშენადნობები – 10 მლნ დოლარით, მე-5 ადგილზე კი 7,4 მლნ დოლარით კოსტუმები, კომპლექტები, მამაკაცის ნაქსოვი ტრიკოტაჟი გავიდა.

რაც შეეხება იმპორტს, 2019 წლის იანვარ-ივნისში უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფი დაფასოებული მედიკამენტები იყო, რომლის იმპორტმაც 45,4 მლნ დოლარი შეადგინა. მას მოსდევს 34,9 მლნ დოლარით მსუბუქი ავტომობილები, მე-3 ადგილზე კი შავი ლითონების მეტალოკონსტრუქციები გავიდა, რომლის იმპორტმაც 19,6 მლნ დოლარი შეადგინა. მე-4 ადგილზეა იზოლირებული მავთულები, კაბელები 18,3 მლნ დოლარით, ხოლო ხუთეულს შავი ლითონების მილები და მილაკები ასრულებს, რომლის იმპორტმა 16,6 მლნ დოლარი შეადგინა.

კომერსანტი

IRI-ის კვლევების მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობა საპენსიო რეფორმას მხარს უჭერს

„საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ (IRI) კვლევების ცენტრის მიერ გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობა საპენსიო რეფორმას მხარს უჭერს.

კითხვაზე: როგორ შეაფასებდით პარლამენტის მიერ ინიცირებულ საპენსიო რეფორმას, გამოკითხულთა 36%-მა უპასუხა, რომ უფრო მეტად კეთილგანწყობილია. აღნიშნული რეფორმა ნაწილობრივ მოსწონს 23%-ს, ნაწილობრივ არ მოსწონს 11%-ს. პარლამენტის მიერ ინიცირებული საპენსიო რეფორმის გატარებას არ ეთანხმება გამოკითხულთა 18%, არ იცის ან პასუხი არ აქვს გამოკითხვაში მონაწილე ადამიანების 12%-ს.

კვლევა მთელი საქართველოს მასშტაბით 2019 წლის 20 მაისი-11 ივნისის შუალედში ჩატარდა.

კომერსანტი

„იულია სუსლიაკი თეა გიორგაძისა და მარიამ გოგორელიანის მითითებით გარდაბნიდან გაიტაცეს“

ტრეფიკინგის ბრალდებით დაკავებული და შემდეგ გათავისუფლებული იულია სუსლიაკის ადვოკატის ინფორმაციით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი სამართალდამცველებმა სამოქალაქო პირებთან ერთად გაიტაცეს.

ამის შესახებ ზურაბ თოდუამ „ინტერპრესნიუსს“ გუშინ, 21 ივლისს უთხრა.

– სუსლიაკი დღეს ჩემთან მოდიოდა, ხვალ ბრიფინგი მაქვს ჩანიშნული 13:00 საათზე, რომელზეც სუსლიაკს დეტალები უნდა მოეთხრო იმის შესახებ, თუ რა მოხდა, როგორ მოხდა, ვინ არღვევდა მის უფლებებს მთელი სამი თვის განმავლობაში, რა სტრესისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა მთელი სამი თვე.

ეს ყველაფერი რომ არ დაეშვათ, გენერალური პროკურატურის პროკურორების – თეა გიორგაძისა და მარიამ გოგორელიანის პირდაპირი მითითებით, პოლიციის თანამშრომლებმა სამოქალაქო პირებთან ერთად, დღეს 08:30 საათიდან 09:00 საათამდე ბაქო-თბილისის რეისის მე-5 ვაგონიდან გარდაბნიდან გაიტაცეს იულია სუსლიაკი და მისი ადგილსამყოფელი ჩემთვის ამ დრომდე უცნობია. ტელეფონი გამორთული აქვს.

შსს და პროკურატურა ინფორმაციას არ გვაწვდის და ფაქტობრივად საქმე გვაქვს ადამიანის უკანონო გატაცებასთან, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე, – განაცხადა ზურაბ თოდუამ.

მოგვიანებით მომხდარზე შსს-მ კომენტარი გააკეთა.

– უკრაინის მოქალაქე იულია სუსლიაკი ქართველმა სამართალდამცველებმა სასაზღვრო-გამშვები პუნქტის „ვახტანგისის“ გავლით აზერბაიჯანში გააბრუნეს, – განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ შსს-ს სამინისტროს პრეს-სამსახურში.

„სუსლიაკს, რომელიც აზერბაიჯანიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლას ცდილობდა, საზღვრის გადაკვეთისას უარი ეთქვა ქვეყანაში შემოსვლაზე უცხოელთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, რაც არასაკმარისი ფინანსური სახსრების, სამოგზაურო დაზღვევის არქონას გულისხმობს და ასევე პირი არ იძლევა მგზავრობის მიზნის შესახებ ზუსტ ინფორმაციას.

უკრაინის მოქალაქე იულია სუსლიაკი ქართველი სამართალდამცველების მიერ სასაზღვრო-გამშვები პუნქტის „ვახტანგისის“ გავლით გაბრუნებულ იქნა აზერბაიჯანის მიმართულებით“, – აღნიშნეს შსს-ში.

16 წლის გიორგი ბეშკენაძის დაღუპვის საქმეზე დაკავებულ შიშუ პალ ბურდაკს პატიმრობა შეეფარდა

დოლაბაურის ქუჩაზე 16 წლის მუშის გარდაცვალების საქმეზე დაკავებულ ინდური სამშენებლო კომპანია „ჯევიკე ჰოსპიტალიტის“ დირექტორ შიშუ პალ ბურდაკს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

მოსამართლემ არ დაეკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა ბრალდებულისთვის 30 ათას ლარიანი გირაოს გამოყენების თაობაზე. ბურდაკის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობას პროკურატურა ითხოვდა.

თავად ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობს და აცხადებს, რომ მისთვის უცნობია, როგორ მოხვდნენ მუშები ობიექტზე, როცა მას არავითარი შეთანხმება არ ჰქონია სამუშაოების წარმოებაზე.

– მე არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია. არ ვიცი, როგორ შევიდნენ ისინი ობიექტზე. მე არავითარი ნებართვა არ მიმიცია დემონტაჟის, – განაცხადა ბრალდებულმა.

მისი ადვოკატის ბაჩუკი ქირიას განცხადებით, ლიფტის დემონტაჟისას უსაფრთხოების წესების დარღვევა დამქირავებელი კომპანიის ბრალი არ არის. ამასთან, როგორც ქირია ამბობს, დემონტაჟს უკანონოდ აწარმოებდა ერთ-ერთი კომპანია, რომელთანაც შესაბამისი სამუშაოების საწარმოებლად ბურდაკი მოლაპარაკებებს მართავდა.

ბრალდებულის ადვოკატის თქმით, შიშუ პალ ბურდაკი აწარმოებდა ამ კომპანიასთან მოლაპარაკებებს, რათა მათ დემონტაჟი განეხორციელებინათ, თუმცა იმ დღეს, როდესაც უბედური შემთხვევა მოხდა, კომპანიის წარმომადგენლები ობიექტზე მოტყუებით შევიდნენ.

ქირიას თქმით, მათ დარაჯს უთხრეს, რომ ბურდაკთან სიტყვიერი შეთანხმება ჰქონდათ სამუშაოების წარმოებაზე.

ამასთან, ადვოკატის მტკიცებით, ბრალდებული არ მიმალვია გამოძიებას. ის ნებაყოფლობით გამოცხადდა გამოძიებაში, მისცა ჩვენება, რის შემდეგაც ის დააკავეს.

რაც შეეხება გარდაცვლილის ოჯახის პოზიციას, ადვოკატის თქმით, ის დაცვის პოზიციას ემთხვევა.

– გარდაცვლილის ოჯახთან აქტიურ კომუნიკაციაში ვართ, კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებთ მათ. არაერთხელ იყვნენ მათთან ჩვენი წარმომადგენლები, ჩვენთვის როგორც ცნობილია, ოჯახის პოზიცია სრულად ემთხვევა ჩვენს პოზიციას. უფრო მეტიც, დედამ ნოტარიული ხელწერილით განაცხადა, რომ ის თანახმაა და მას მიაჩნია, რომ შიშუ პალ ბურდაკის მიმართ არ უნდა იყოს გამოყენებული არანაირი აღკვეთის ღონისძიება, – განაცხადა ბაჩუკი ქირიამ.

თემქაზე ოჯახი დააყაჩაღეს

დააკავეს 3 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 20 ივლისს თემქაზე მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნეს. სამართალდამცველებმა დანაშაულებრივი დაჯგუფების სამივე წევრი: 1964 წელს დაბადებული ვ.კ. 1992 წელს დაბადებული ე.კ. და 1989 წელს დაბადებული ზ.ჟ. თბილისში დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ თემქის დასახლებაში, ერთ-ერთი ოჯახის საცხოვრებელ ბინაში ბრალდებულებმა უკანონოდ შეაღწიეს და ბინაში მყოფი ოჯახის წევრები ცივი იარაღის მუქარით დააყაჩაღეს. ოჯახის დაყაჩაღების შემდეგ თავდამსხმელები ცდილობდნენ მიმალვას, რა დროსაც იმავე საცხოვრებელ კორპუსში მცხოვრებმა პირმა შეძლო ერთ-ერთი თავდამსხმელის ვ.კ.-ს შეჩერება, ხოლო დანარჩენი ორი პირი მიიმალა. შემთხვევის ადგილზე პოლიციამ დააკავა ვ.კ. ამოღებულ იქნა ბინიდან გატაცებული ნივთები და ნიღაბი, რომელიც დაკავებულს ყაჩაღობისას ეკეთა.

სამართალდამცველებმა უმოკლეს დროში დაადგინეს დანაშაულში მონაწილე დაჯგუფების სხვა წევრების ვინაობა. სავაჭრო ცენტრ „ქარვასლის“ მიმდებარედ ზ.ჟ.-მ „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გახსნა პოლიციელების მიმართულებით, მაგრამ გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა ის ადგილზე დააკავეს. მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ამოღებულ იქნა ზ.ჟ.-ს კუთვნილი პისტოლეტი, მჭიდი და ვაზნები, ასევე ფული, მათ შორის ყაჩაღობის შედეგად მოპოვებული თანხის ნაწილი. პოლიციამ 21 ივლისს ბრალდებულის სახით დააკავა მესამე პირიც – 1992 წელს დაბადებული ე.კ. რომელიც აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებას, სამსახურეობრივი საქმიანობის შესრულების დროს პოლიციელებზე თავდასხმის, ასევე ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 353 პრიმა მუხლების პირველი ნაწილებით, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

სამართალდამცველებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ორი პირი დააკავეს.

აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს. როგორც უწყების ინფორმაციაშია ნათქვამი, სამართალდამცველებმა ბრალდებულებისგან 8 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით 1972 წელს დაბადებული ლ.მ. და 1971 წელს დაბადებული ბ.გ. დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულებისგან 8 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ადვოკატი ბასილაია: „გოგა ონიანის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა“

მსჯავრდებული ადვოკატის გოგა ონიანის ადმინისტრაციული სარჩელი, რომელიც პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოს უარს ეხებოდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ონიანის ადვოკატმა ბექა ბასილაიამ განუცხადა.

როგორც ადვოკატი განმარტავს, სასამართლომ გააუქმა ის აქტი, რომლითაც ონიანს უარი ეთქვა პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებაზე და სასამართლომ შესაბამის საბჭოს საქმის ხელახალი განხილვა დაავალა ონიანის მონაწილეობით.

– სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ჩვენი სარჩელი და დაავალა პენიტენციარული დაწესებულების შესაბამის საბჭოს, რომ ზეპირი მოსმენით მოხდეს გიორგი ონიანის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი, რამდენადაც მთელი რიგი გარემოებები საბჭომ არ გამოიკვლია, ან გამოიკვლია და არასწორი შეფასება მისცა, რის საფუძველზეც გიორგი ონიანს პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებაზე უარი ეთქვა.

ჩვენ ასევე ვაყენებდით დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნას, რამდენადაც, ფაქტია, რომ ონიანის მიმართ არსებულ პირობებში, მიიღება ონიანის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, მაშინ, როცა იდენტურ და უფრო მძიმე პირობებში პირთა გათავისუფლების შესახებ მიიღება დადებითი გადაწყვეტილებები. ამასთან დაკავშირებით, აუცილებლად ვაპირებთ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში დავას.

ადრეც მოვიგეთ მსგავსი ტიპის სარჩელი შინაპატიმრობასთან დაკავშირებით, უბრალოდ, შემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებისას იმდენი დროით აჭიანურებენ და სხდომებს არ ნიშნავენ, რომ ონიანის გათავისუფლების ვადა ბუნებრივად მოდის ოქტომბრის ბოლოს.

მანამდე სასამართლო განხილვები ორ ინსტანციაში ფიზიკურად არ სრულდება და შესაბამისად, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილები, ფაქტობრივად, აღუსრულებელი რჩება, – აცხადებს ბასილაია.

გიორგი ონიანს საგამოძიებო უწყება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, მტკიცებულებების ფალსიფიკაციასა და პირისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას ედავებოდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ონიანს ყველა ეპიზოდში გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა და 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კი ონიანს საბოლოოდ თავისუფლების აღკვეთა 2 წლით განესაზღვრა. ის პენიტენციარულ დაწესებულებას ნოემბრის დასაწყისში დატოვებს.

პოლიციამ აჭარაში 169 აბი „სუბოქსინი“ ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების მცდელობის ბრალდებით, 1996 წელს დაბადებული ი.ბ. დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ცნობით, დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის დამხმარე სათავსოს ჩხრეკისას, 161 აბი „სუბოქსინი“ ამოიღეს. გარდა ამისა, პოლიციამ, ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს, ნივთმტკიცებად ამოიღო ბრალდებულის მიერ გასაღების მიზნით ქობულეთის ტერიტორიაზე დადებული 8 აბი ნარკოტიკი.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების მცდელობის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 19 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში.

ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი: „გადავდგები, თუ ბორის ჯონსონი პრემიერი გახდება“

დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი ფილიპ ჰამონდი აცხადებს, რომ მომავალ კვირას დატოვებს თანამდებობას, თუ ბორის ჯონსონი პრემიერი გახდება.

– მე არ ვაპირებ, მომხსნან თანამდებობიდან, ამიტომაც, ვიდრე ეს მოხდება, თავად გადავდგები, – განაცხადა ჰამონდმა „ბიბისისთან“ ინტერვიუში.

მისივე თქმით, მას შემდეგ, რაც ბორის ჯონსონი პრემიერი გახდება, იგი ევროკავშირისგან მიიღებს შეთავაზებას, რომ ბრექსითი 31 ოქტომბრამდე შეთანხმების გარეშე განხორციელდეს.

– ეს არ არის ის, რასაც მე ხელს მოვაწერ, – განაცხადა ფილიპ ჰამონდმა.

წინასწარი გამოკითხვების მიხედვით, ბრიტანეთის მომდევნო პრემიერი ბორის ჯონსონი გახდება.

მეორე კანდიდატს საგარეო საქმეთა მინისტრი ჯერემი ჰანტი წარმოადგენს.

ტრამპს იაპონიისა და სამხრეთ კორეის შერიგება სურს

სამხრეთ კორეასა და იაპონიას შორის ურთიერთობა დაიძაბა. მიზეზი სამხრეთ კორეის ხელისუფლების პოზიციაა.

ოფიციალურმა სეულმა მოითხოვა, რომ ტოკიომ კომპენსაცია გადაუხადოს კორეის იმ მოქალაქეებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონელ ოკუპანტებზე მუშაობდნენ.

იაპონიის ხელისუფლება კატეგორიულ უარზეა.

– ომის შემდეგ ახალი, დემოკრატიული იაპონია აშენდა. მილიტარისტების ქმედებებზე პასუხს არ ვაგებთ, – აცხადებენ ისინი.

სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა მუნ ჩჟე ინმა დახმარებისთვის აშშ-ს მიმართა.

ტრამპმა მისი წინადადება მიიღო.

– სიამოვნებით შევარიგებ სეულს ტოკიოსთან! ეს ჩვენს ინტერესებშია, – ამბობს ტრამპი.

გერმანიაში ავიაკატასტროფას 3 ადამიანი ემსხვერპლა

გერმანიაში ავიაკატასტროფას სამი ადამიანი ემსხვერპლა. მცირე ზომის თვითმფრინავი ქალაქ ბრუხზალთან ჩამოვარდა.

დაიღუპა ბორტზე მყოფი 3 ადამიანი. ადგილობრივი პოლიციის ცნობით, პილოტი ცდილობდა საგანგებო დაფრენას ქალაქ კარლსრუესთან მდებარე ავიაბაზაზე, მაგრამ ვერ შეძლო.

კატასტროფის მიზეზები უცნობია.

ჩამოვარდნისას თვითმფრინავი ერთ-ერთ მაღაზიასთან ლითონის ღობეს დაეცა. მაღაზიაში მყოფი ადამიანები არ დაშავებულან.

მიწისძვრამ ათენში 2 შენობა დაანგრია
3 ადამიანი დაშავდა

ძლიერი მიწისძვრა მოხდა საბერძნეთში. ბიძგების სიმძლავრემ, რომელიც ყველაზე მეტად ათენსა და მის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონებში იგრძნობოდა, 5,1 მაგნიტუდა შეადგინა.

მიწისძვრას დედაქალაქში ნგრევა მოჰყვა. მთლიანად ჩამოინგრა 2 შენობა, რამდენიმე კი დაზიანდა, მათ შორის ქვეყნის პარლამენტის შენობაც.

წინასწარი მონაცემებით, ბიძგების შედეგად 3 ადამიანი დაშავდა, ასევე დაზიანდა ელექტროგადამცემი და საკომუნიკაციო ხაზებიც.

მიწისძვრა ათენში 1999 წლის შემდეგ პირველად მოხდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

აშშ–ში მოქალაქეობის მისაღები ტესტი ჩასწორდება

ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამსახური მოქალაქეობის მიღების ტესტს ჩაასწორებს.

ამის შესახებ განცხადება იმიგრაციის სამსახურის ოფიციალურ გვერდზეა გამოქვეყნებული. ცვლილებები აშშ-ის ხელისუფლებას მოქალაქეობის მსურველის ცოდნის უკეთ შეფასების საშუალებას მისცემს.

იმიგრაციის შესახებ კანონის 312 მუხლის თანახმად, მოქალაქეობის მაძიებლებს ევალებათ „ინგლისურად წერა-კითხვის ცოდნა“, „აშშ-ის ისტორიის, პრინციპებისა და სახელმწიფო წყობის საფუძვლების ცოდნა“.

ცვლილებები ძირითადად ტესტის სალაპარაკო ნაწილს შეეხება და შედეგად მოქალაქეობის მაძიებლის მიერ საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების ცოდნას აშშ-ის შესაბამისი სამსახურები უკეთ შეაფასებენ.

ამ ტესტის საპილოტე ვერსიას მიმდინარე წლის შემოდგომაზე გამოცდიან, 2020 წლის ბოლოს ან 2021 წლის დასაწყისში კი ოფიციალურად დაამკვიდრებენ პრაქტიკაში.

2018 წლის განმავლობაში აშშ-მ დაახლოებით 757.000 ადამიანს მიანიჭა მოქალაქეობა. მოქალაქეობის მიღების ტესტის გადახედვა კი მნიშვნელოვანი ნაწილია ლეგალური იმიგრანტების მოსამზადებლად, რათა მათ კარგად იცოდნენ თავიანთი უფლებები და პასუხისმგებლობები აშშ-ში.

საუდის არაბეთი აშშ-ის ჯარების განთავსებას დათანხმდა

აშშ-ირანს შორის არსებული დაძაბულობა საერთაშორისო პოლიტიკაზე აისახა. საუდის არაბეთის მეფე სალმანი თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე აშშ-ის ჯარების განთავსებას დათანხმდა.

მიზეზი რეგიონში ირანის მკვეთრი გააქტიურებაა.

– ამერიკელთა დახმარების გარეშე ჩვენ ქვეყნის უსაფრთხოებას ვერ დავიცავთ, – განაცხადა საუდის არაბეთის მეფემ.

„ბრიტიშ ეარვეისმა“ კაიროს მიმართულებით ყველა რეისი ერთი კვირით შეაჩერა

ბრიტანულმა ავიაკომპანია „ბრიტიშ ეარვეისმა“ ეგვიპტის დედაქალაქ კაიროს მიმართულებით ყველა რეისი ერთი კვირით შეაჩერა.

ამის მიზეზი უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

მგზავრებს, რომლებიც ლონდონის ჰითროუს აეროპორტიდან აფრენას ელოდებოდნენ, შეატყობინეს, რომ რეისი არ შესრულდება და ალტერნატიული რეისებიც ერთი კვირის განმავლობაში არ იქნება.

ავიაკომპანიაში კონკრეტულ მიზეზს არ ასახელებენ.

– ჩვენ მუდმივად ვანახლებთ უსაფრთხოების მიზნით მისაღებ ზომებს ყველა აეროპორტში მსოფლიოს მასშტაბით, – განაცხადეს „ბრიტიშ ეარვეისში“. კაიროს მიმართულებით გერმანულმა ავიაკომპანია „ლუფთჰანზამაც“ გააუქმა რეისები, თუმცა 2 დღით.

გერმანია თავდაცვის ხარჯებს ზრდის

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ დაძაბული საერთაშორისო მდგომარეობა თავდაცვაზე ხარჯების გაზრდას მოითხოვს.

– გერმანიაც ხარჯებს ზრდის და მომავალშიც გაზრდის, – თქვა მერკელმა.

გერმანიის თავდაცვის მინისტრმა კრამპ-კერენბაუერმა კი აღნიშნა, რომ არმიის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აღნიშნული თანხები საკმარისი არ არის.

– თავდაცვაზე მეტია საჭირო, – ამბობს კრამპ-კერენბაუერი.

თურქეთში წყალდიდობას მსხვერპლი მოჰყვა

თურქეთში ძლიერი წვიმისა და წყალდიდობის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა, 6 კი დაკარგულია.

უხვი ნალექი ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში რამდენიმე დღე გაგრძელდა.

სტიქიამ ქალაქ დუზჯესა და აქჩაქოჩაში დააზიანა საცხოვრებელი სახლები და სხვა ინფრასტრუქტურა. წყლის ნაკადმა წაიღო ავტომობილები.

სტიქიის ზონიდან ვერტმფრენით 69 ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა. ისინი დატბორილი ტერიტორიებიდან საკუთარი ძალებით თავის დაღწევას ვერ ახერხებდნენ.

სამაშველო სამუშაოები 20 ივლისს მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

20 წლამდე ნაკრებმა ა დივიზიონის შანსი პორტუგალიასთან დაკარგა

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები კარგად დაწყებულ ევროპის ჩემპიონატის ა დივიზიონში გადასასვლელ რბოლას მეოთხედფინალიდან გამოეთიშა. ჯგუფურ ეტაპზე 5-დან 4 მოგებისა და პლეი ოფში გასვლის შემდეგ მილოშ გლიგორიევიჩის გაწვრთნილმა გუნდმა მეოთხედფინალური მატჩი მასპინძელ პორტუგალიასთან დათმო. ბრძოლა იყო თანაბარი და ქართველები ხშირ შემთხვევაში ლიდერობდნენ. შეხვედრის ბედი ბოლო წუთზე გადაწყდა, როცა საფინალო სირენამდე 49 წამით ადრე პორტუგალიელთა უკანახაზელმა პრანცისკო ამარანტემ 3-ქულიანი ჩაგიგდო და მასპინძლები 92:85 დააწინაურა.

საქართველოს ნაკრებმა ტოლი არაფერში დაუდო ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის ნაკრებს, რომელსაც დარბაზში შეკრებილი საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი მხურვალედ ქომაგობდა. ქართველები თავიდანვე დაწინაურდნენ და პირველი პერიოდის მსვლელობისას 5-7 ქულას კარგა ხანს იგებდნენ. ჩვენს ბიჭებს კარგად გამოსდიოდათ პორტუგალიელთა ყველაზე საშიში მოთამაშისგან – 210-სანტიმეტრიანი ნემიას კუეტასგან თავდაცვა. ამან დიდხანს არ გასტანა და პირველი პერიოდის ბოლოს პორტუგალიელებმა 3-წამიანში ფეხი გაიდგეს, ჩვენი შეცდომებით ისარგებლეს და ანგარიში გაათანაბრეს.

პირველი პერიოდი ქართველებმა მაინც მოიგეს – ნიკა მეცხვარიშვილმა სირენის თანხლებით ჩააგდო და 21:19.

მე-2 ათწუთეულში თამაში ქულა-ქულაში წარიმართა. ხან ერთი გუნდი გავიდოდა წინ, ხანაც – მეორე. კუეტა უფრო და უფრო ხშირად სტუმრობდა ქართველების ფარქვეშეთს და ძირითადად შედეგიანად აგვირგვინებდა მასზე დაკიდებულ თუ საკუთარი ილაჯით ჩვენს სამწამიანში შემოტანილ ბურთს. პორტუგალიელებმა მეორე პერიოდი 26:22 მოიგეს და დიდი შესვენებისთვის 2 ქულით თავად დაწინაურდნენ – 45:43.

მე-3 პერიოდში ქართველებმა თამაში ყოჩაღად განაგრძეს და ლიდერობაც დაიბრუნეს, თუმცა დასკვნით 5 წუთში მასპინძლებმა გაქცევა მოაწყვეს, რაც ძირითადად ზუსტი 3-ქულიანებით იყო განპირობებული და 9-ქულიან ლიდერობას დაეპატრონნენ – 70:61 ბოლო მეოთხედის წინ. ამ მომენტიდან დაიწყო ქართველების პორტუგალიელებზე დევნის პროცესი, რომელიც ყველაზე მეტად მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე გამძაფრდა, როცა სხვაობა 3 ქულამდე შემცირდა. პორტუგალიელები მაღლევე გამოფხიზლდნენ და ხელჩასაჭიდი ლიდერობა დაიბრუნეს, მაგრამ...

ბოლო წუთზე რატი ანდრონიკაშვილმა 2-დან 1 ზუსტი საჯარიმოთი ჩამორჩენა 4 ქულამდე შეკვეცა – 85:89, მაგრამ სწორედ აქ ჩააგდო ამარანტემ თავისი 6 3-ქულიანიდან ბოლო, რომელმაც მასპინძლებს 7-ქულიანი ლიდერობა და ნახევარფინალის საგზური მოუტანა. საბოლოოდ პორტუგალიელებმა 96:85 მოიგეს და საქართველო ბ დივიზიონში დატოვეს.

პორტუგალიელებს 26 ქულით, 14 მოხსნით და 6 პასით კუეტამ ულიდერა. 21 ქულა მიითვალა რაფაელ ლისბუამ. ფრანცისკო ამარანტეს ანგარიშზე 20 ქულა დაგროვდა. საქართველოს ნაკრებში 21 ქულითა და 11 პასით საუკეთესო იყო რატი ანდრონიკაშვილი. 14 ქულით გამოირჩა ზურაბ ჟღენტი, ამდენივე ჰქონდა ნიკა მეცხვარიშვილს.

გლიგორიევიჩის გაწვრთნილი გუნდი მეოთხედფინალში პორტუგალიასთან წაგების შემდეგ 5-8 ადგილებისთვის საკვალიფიკაციო ბრძოლაში გადაერთო და პირველი დაპირისპირება ბულგარეთთან გამართა.

მე-5 ადგილისთვის გასასვლელ მატჩში ბულგარელთა გამარჯვებით – 86:75 დასრულდა. საქართველოს ნაკრებმა პირველი და მესამე პერიოდები დათმო, რის შემდეგაც 12 ქულით ჩამორჩა და დარჩენილ ათწუთეულში თამაშის გადარჩენა ვერ შეძლო.

ჩვენს ნაკრებში 17 ქულით და 5 მოხსნით საუკეთესო იყო ნიკოლოზ მეცხვარიშვილი. 16 ქულა მოაგროვა რატი ანდრონიკაშვილმა, ვახტანგ გაფრინდაშვილის ანგარიშზე კი 11 ქულა დაგროვდა.

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში ბოლო მატჩს ისლანდიასთან გამართავს, რომელმაც პარალელურ საკვალიფიკაციო შეხვედრაში ჰოლანდიასთან უშანსოდ – 68:87 წააგო. საქართველო და ისლანდია ერთმანეთს ბ დივიზიონის მე-7 ადგილს შეეცილებიან.

ინდიანამ ბითაძის პოზიცია შეავსო

ინდიანა პეისერსში სიახლეებია – გოგა ბითაძეს კიდევ 2 ახალი თანაგუნდელი ჰყავს, მათგან ერთი – მის პოზიციაზე, რომელიც ისედაც გადატვირთულია.

დავიწყოთ უკანახაზელით: ჯასთინ ჰოლიდეიმ ინდიანასთან 1-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და 4.8 მილიონ დოლარს მიიღებს. აარონ ჰოლიდეის უფროსი ძმა გასულ სეზონში საშუალოდ 10.5 ქულას, 3.9 მოხსნასა და 1.8 პასს აკეთებდა. ასე რომ, პეისერსი ახალ სეზონში 2 ჰოლიდეით შეუტევს.

ინდიანამ კონტრაქტი გაუფორმა ცენტრ ამიდა ბრიმას. ეს კონტრაქტიც 1-წლიანია, თუმცა, ნაწილობრივ გარანტირებული. განეღი ბრუკლინ ნეტსის შემადგენლობაში თამაშობდა ნბა-ს საზაფხულო ლიგაში.

თუ ბრიმა საბოლოოდ მოხვდება სეზონის განაცხადში, ნომერ მე-4 ცენტრი იქნება ინდიანაში, მაილს ტერნერის, დომანტას საბონისისა და გოგა ბითაძის შემდეგ. თუმცა უკვე გადაჭრით ითქვა, რომ საბონისი მძიმე ფორვარდის პოზიციაზე დაიწყებს. ასე რომ, ბრიმას თავის გამოჩენის შანსი ექნება. ბრიმა ინდიანას მე-15 მოთამაშეა.

ინდიანას შემადგენლობა მომავალ სეზონში ასეთი იქნება:

უკანა ხაზი: აარონ ჰოლიდეი, ჯასთინ ჰოლიდეი, ვიქტორ ოლადიპო, ედმონდ სამნერი, მალკომ ბროგდონი, ჯერემი ლემბი, დევონ რიდი;

ფორვარდები: ტი ჯეი უორენი, დაგ მაკდერმოტი, ტი ჯეი ლიფი, ალიზ ჯონსონი, ბრაიან ბოუენი II;

ცენტრები: დომანტას საბონისი, მაილს ტერნერი, გოგა ბითაძე, ამიდა ბრიმა.

რუსეთი არ ჩამოდის — გეგმები აგვერია

27 აგვისტოს გასამართი ტესტ-მატჩი საქართველოსა და რუსეთის მორაგბეთა ნაკრებებს შორის აღარ გაიმართება. რუსები პოლიტიკური მიზეზით არ აპირებენ ჩამოსვლას. არადა, თბილისში 27 აგვისტოს დაგეგმილი შეხვედრა ორივე გუნდისთვის მნიშვნელოვანი იყო მსოფლიოს თასის მზადების პროცესში.

ვნახოთ, რა წერია რუსეთის რაგბის ფედერაციის განცხადებაში:

– ფედერაცია საქართველოში ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებს შეშფოთებული აკვირდებოდა. სამწუხაროდ, რადიკალურად განწყობილი ადამიანების ქმედება ამ ქვეყანაში საფრთხეს უქმნის სხვათა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სამწუხაროდ, უნდა გაცნობოთ, რომ 27 აგვისტოს თბილისში დაგეგმილი შეხვედრა აღარ გაიმართება. ჩვენ ვადასტურებთ, რომ დიდად ვაფასებთ პარტნიორობას საქართველოს რაგბის კავშირთან. ჩვენი თამაშის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი სოლიდარობაა, პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვა სხვაობების მიუხედავად. ორივე ნაკრების გულშემატკივრებს ბოდიშს ვუხდით.

რუსეთის მორაგბეთა ნაკრების უელსელმა მთავარმა მწვრთნელმა ლინ ჯონსმა საქართველოსა და რუსეთს შორის აგვისტოში გასამართი ტესტ-მატჩის ჩაშლასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.

ლინ ჯონსი:

– საქართველოს ნაკრებთან ნაკრებთან გასამართი მატჩის გაუქმებით ძალიან გულდაწყვეტილები ვართ. მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად ეს შეხვედრა ჩვენს გეგმაში შედიოდა, მაგრამ ყველა ხვდება ამის მიზეზს. ახლა მნიშვნელოვანია ისეთი გეგმა შევიმუშაოთ მსოფლიო თასისთვის მოსამზადებლად, რომ არ გაგვიჭირდეს. ველოდებით ახალ მატჩებს.

ცხადია, ამ მატჩის ჩაშლამ ჩვენი ნაკრების გეგმებზეც იქონია გარკვეული გავლენა. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი, გოჩა სვანიძემ განცხადება გაავრცელა.

გოჩა სვანიძე:

– სამწუხაროდ რუსეთის ნაკრები მატჩის ჩასატარებლად აღარ ჩამოვა, ეს გადაწყვეტილება მიიღო რუსეთის რაგბის ფედერაციამ, მიზეზად დაასახელეს თბილისში მიმდინარე მოვლენები და მოსალოდნელი პროვოკაციების რისკი. ჩვენ უკვე ვეძებთ საქართველოს ნაკრებისთვის მეტოქეს იმისათვის, რომ 27 აგვისტოს შედგეს თამაში. საქართველოში ამ დონის მატჩები ტარდებოდა, ტარდება და ჩატარდება უსაფრთხო, სპორტულ და საზეიმო ვითარებაში. ამის გარანტი საქართველოს მთავრობაა, რაშიც საქართველოს რაგბის კავშირი ყოველთვის გვერდით უდგას მას თავისი კომპეტენციის ფარგლებში. გულშემატკივრებს, ვინც უკვე შეიძინა საქართველო რუსეთის მატჩის ბილეთები, შეუძლია მათი სურვილის მიხედვით ან დაესწრონ სანაცვლო მატჩს, ან თუ ამის სურვილი არ ექნებათ მათ დაუბრუნდებათ ბილეთის საფასური.

საქართველოს ეროვნული ნაკრების სანაცვლო მეტოქის ვინაობა გაირკვევა უახლოეს დღეებში.

არგენტინის ფედერაცია ბოდიშს მესის ნაცვლად ითხოვს

არგენტინის ფეხბურთის ასოციაციამ ლიონელ მესის სახელით ბოდიში გაუგზავნა კონმებოლს, რათა არგენტინის ნაკრების ლიდერმა დისკვალიფიკაცია აიცილოს.



შეგახსენებთ, რომ მესი კარიერაში მეორედ კოპა ამერიკაზე, ჩილეს ნაკრებთან გააგდეს, როცა გარი მედელს უხეშობაზე ხელის კვრით უპასუხა. ამის შემდეგ ლეომ კონმებოლი მკაცრად გააკრიტიკა და ეს ორგანიზაცია კორუფციაში დაადანაშაულა.

ამის გამო, შესაძლოა, მესის 2-წლიანი დისკვალიფიკაცია მისცენ, სწორედ ამიტომ იხდიან ბოდიშს არგენტინული ფეხბურთის შეფები.

არგენტინის ფედერაცია იმედოვნებს, რომ კონმებოლი მესის მიმართ დისციპლინარულ საქმეს დახურავს. არგენტინელები აცხადებენ, რომ ლეოს სიტყვები არ იყო კონკრეტულად რომელიმე ჩინოსნის მიმართ ნათქვამი.

იმასაც შეგახსენებთ, რომ არგენტინის ნაკრებმა ბრაზილიაში გამართულ კოპა ამერიკაზე მე-3 ადგილი დაიკავა, ჩემპიონი კი მასპინძელი ბრაზილია გახდა, რომელმაც ფინალში პერუ დაამარცხა.

შენგელია კარიერას ესპანეთში გააგრძელებს

ესპანური მედიის ინფორმაციით, დინამო თბილისის ფორვარდი ლევან შენგელია ლა ლიგა 2-ის კლუბ კადისში გადადის.

პირინეელები წერენ, რომ ფეხბურთელთან მოლაპარაკება უკვე დასკვნით ფაზაშია შესული და, დიდი ალბათობით, 23 წლის ქართველი სამხრეთულ კლუბში ითამაშებს:

– მე-20 საუკუნის ცნობილი ფორვარდის, რამაზ შენგელიას მოგვარე, რომელსაც 1982 წლის მუნდიალზე ესპანეთში უთამაშია საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, ახლოსაა კადისში გადასვლასთან – ის 23 წლის ლევან შენგელიაა და თბილისის დინამოს ეკუთვნის.

შენგელიას უცხოეთში ადრეც უთამაშია – ბელგიურ ტუბიცეში და სამხრეთკორეულ დაეჟეონ სიტიზენში. გარდა რამაზ შენგელიას მოგვარეობისა, ფეხბურთთან მემკვიდრეობაც აკავშირებს – ლევანი ვასილ შენგელიას შვილია, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს ქუთაისის ტორპედოს ღირსებას იცავდა.

ესპანელები შენგელიას ესპანეთში გაბალასთან დაპირისპირებების შემდეგ ელიან. შენგელიას დინამოსთან კონტრაქტი 31 აგვისტომდე აკავშირებს.

ეროვნულ ლიგაში ლევან შენგელიამ 19 მატჩში 11 გოლი გაიტანა.

ვაკო გვილია: „ევროპის ჩემპიონატზე თამაშს ვაპირებ“

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ვაკო გვილია პოლონეთში თამაშობს. ჩვენებურმა ახლახან კლუბი გამოიცვალა – გურნიკიდან ლეგიაში გადავიდა.

გვილია პოლონურ მედიას ესაუბრა.

– ტალანტი და შრომისუნარიანობა – თქვენ რომელი უფრო გაქვთ?

– ერთიც და მეორეც. ნიჭი ბავშვობიდან მქონდა, მაგრამ სხვადასხვა მეთოდით ვხვეწდი კომპონენტებს. ჩემი საყვარელი ფეხბურთელი ალესანდრო დელ პიეროა. მერე ასევე შემიყვარდა ანდრეა პირლო და ტონი კროოსი.

– რამდენ ენაზე ლაპარაკობთ?

– ქართული და მეგრული ჩემი მშობლიური ენებია. ვიცი ინგლისური, უკრაინული, რუსული და ცოტა პოლონურიც. შვეიცარიაში თამაშისას გერმანული ვისწავლე: ცოტა მესმის, ესაა და ეს.

– ახალ გუნდში ცნობილი ქართული ჭაჭა ხომ არ მოიტანეთ?

– ჰა-ჰა, ჯერ არა. თუმცა მზად იყვნენ. კარგი სეზონის მერე ბოთლს ჩამოვიტან, თუმცა ღვინოს ვამჯობინებ. ჭაჭა ჩემთვის ზედმეტად მძიმეა. სეზონის მერე ქართული დელიკატესები უნდა გავსინჯოთ.

– უკრაინის მოქალაქეობაც გაქვთ. ეს როგორ მოხდა?

– 16 წლის ასაკში წავედი საქართველოდან. უკრაინის ახალგაზრდული ნაკრებიდან მოწვევა მომივიდა, მაგრამ მხოლოდ ამხანაგურებში ვითამაშე და ოფიციალურებში, სადაც ქულები ითვლებოდა, უარს ვამბობდი. ეს იმიტომ, რომ საქართველოს

ნაკრებში თამაშზე ვოცნებობდი. გარკვეული დროის მერე საქართველოს პასპორტი აღვიდგინე და 21-წლამდელთა ნაკრებიდან დამირეკეს. პირველი მატჩი სწორედ უკრაინის წინააღმდეგ მქონდა – 3:3 დასრულდა. მანამდე ნახევარი წლით ადრე უკრაინის ახალგაზრდულში ვითამაშე საქართველოს წინააღმდეგ. ორივე გუნდიდან მეხუმრებოდნენ ფეხბურთელები, მოდი, 45 წუთი ერთ მხარეს ითამაშე, 45 წუთი – სხვა მხარესო. საქართველო გულის არჩევანი იყო. უკრაინის ნაკრები უფრო ძლიერია და დიდ ტურნირებზე არის გასული, მაგრამ არჩევანს ერთი წამითაც არ ვნანობ. ახლა შანსი გვაქვს, ჩვენც გავიდეთ ევროპის ჩემპიონატზე. ერთა ლიგის ჯგუფური ეტაპი მოვიგეთ და გაისად მარტში თბილისში ბელარუსს ვეთამაშებით. ეს უკვე ნახევარფინალი იქნება.

– და საკლუბო ტიტულების მოგება?

– ამიტომაც გავაფორმე კონტრაქტი ლეგიასთან. ამ დროისთვის ბელარუსის ჩემპიონობა და სუპერთასი 2-2 მოვიპოვე. ვარშავაში კოლექციას ახალი ტიტული უნდა შევმატო.

შედეგები

20 ივლისი

ფეხბურთი

ხუსეთი. ჰიემიეჩიგა

უფა-კრასნოდარი	2:3
უფას მე-2 გოლი ჯიმი ტაბიძემ გაიტანა	
კრილია-არსენალი	2:3
ცსკა-ორენბურგი	2:1
როსტოვი-სპარტაკი	2:2

ბელგია. სუპერთასი

გენკი-მეხელენი	3:0

ჩეხეთი. 1 ლიგა

ოპავა-პრჟიბრჟამი	1:0
სიგმა-ზლინი	1:0
სლოვაცკო-ჩესკე	0:2
სპარტა-იაბლონეცი	2:0

პოლონეთი. ექსტრაკლასა

ჩენსტოხოვა-კორონა	0:1
ვისლა-სლასკი	0:1
პიასტი-ლეხი	1:1

შვედეთი. აისვენსკა

აიკი-ჰელსინბორგი	2:0
იორებრო-ფალკენბერგი	4:0
სუნდსვალდი-ჰაკენი	0:1

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ვაასა-ლახტი	1:1
ილვესი-ჰიკი	1:1
კვპ-სეინეიოკი	1:2

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

აბერდინმა ჩიხურა თვითმფრინავში შეისწავლა

ევროპის ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩიხურას მეტოქე შოტლანდიური აბერდინია. გუნდი, რომელმაც იქაური გრანდების, სელტიკისა და რეინჯერსის შემდეგ პრემიერლიგაში მე-3 ადგილი დაიკავა.

შოტლანდიელები საქართველოში 25 ივლისს ითამაშებენ. აბერდინის თავკაცი დერეკ მაკინესი მეტოქეზე ინფორმაციას ავრცელებს.

მაკინესი აცხადებს, რომ ქართული კლუბი კარგად ჰყავთ შესწავლილი. აბერდინმა წინა წრეში როვანიემი გააგდო. როგორც მაკინესმა აცხადებს, ჩიხურას შესწავლა ფინეთიდან შოტლანდიისკენ გაფრენილ თვითმფრინავში დაიწყო და ფოლა ეშისა და ჩიხურას ორივე მატჩს ბორტზე უყურა.

დერეკ მაკინესი:

– ქართველების ორივე თამაშის რეპორტაჟი ვნახეთ და ახლა უფრო დეტალურად შევისწავლით მათ. ფოლა ეშთან ორივე თამაშს ჩვენი სკაუტი აკვირდებოდა. ჩვენ კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია გვაქვს ჩიხურაზე. ჩვენ სხვა რამ უფრო გვაღელვებს – მზად უნდა ვიყოთ, რთული გამოცდისთვის, რაც ლოჯისტიკური პრობლემებით არის გამოწვეული და დიდხანს უნდა ვიფრინოთ; ასევე თბილისში სიცხესაც უნდა შევეგუოთ. იმედი მაქვს, რომ საქართველოში ისეთ შედეგს მივაღწევთ, რომ საპასუხო მატჩში შევძლებთ შემდეგ ეტაპზე გასვლას.

აბერდინში სიახლეც არის: გუნდმა დაიმატა ფუნსო ოჯო, რომელსაც მე-2 ეტაპზე თამაშის უფლება აქვს. როგორც მაკინესი აცხადებს, ოჯოსთან ერთად გუნდი უფრო ძლიერი იქნება ნახევარდაცვაში.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სჯანგოხდი



1. ო.თაქთაქიშვილის ოპერა; 2. თამაში იუმორისტული ლექსების შეთხზვაზე; 3. 3-4 წლის ცხენების დოღი; 4. ქალაქი იაპონიაში; 5. მწერიჭამია მცენარე; 6. თაღის გამობურცული წიბო; 7. ხელით კერვის დროს რომ ხმარობენ; 8. წილი ბიზნესში; 9. ქალიშვილი; 10. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 11. კურკოვანი მომჟავო ხილი; 12. ფრანგი მეცო-სოპრანო ...-გარსია; 13. ვრცელი მიდამოს ზედხედი; 14. მოხერხება, უნარი; 15. გაკვირვების გამომხატველი შორისდებული; 16. პრეფექტურა იაპონიაში; 17. ერთგვარი რევოლვერი; 18. ცის ჩრდილოეთ ნახევარსფეროს თანავარსკვლავედი; 19. ...-ბატორი; 20. „მეფე ლირის“ პერსონაჟი; 21. მკითხავი; 22. ვაგონის დრეკადი ნაწილი ბიძგების შესარბილებლად; 23. ვინმესადმი კეთილგანწყობილება; 24. აზოტმჟავა ვერცხლი (ფხვნილი); 25. დროებითი წამალი; 26. თევზსაჭერი მოწყობილობა; 27. ... ნორტონი; 28. თამაში სალტეებითა და ჯოხებით; 29. ბატონო (ინგლისურად); 30. პატარა სარწყავი არხი; 31. ერთეული ვექტორი; 32. ... სტრიპი; 33. იაპონელი კინორეჟისორი (XXს.).

ნინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პორტერი; 2. საკვოიაჟი; 3. ბედეკერი; 4. დამიანე; 5. საფარა; 9. რინერი; 11. ჯანდარა; 12. შატილი; 14. ფუტზალი; 18. ოდინი; 19. ღალია.

თარაზულად: 4. დავოსი; 5. საფერავი; 6. მედეა; 7. ომმეტრი; 8. ქვევრი; 10. მენჯი; 13. რეფერი; 15. ირონია; 16. რადა; 17. პერო; 20. ზიდანი; 21. პილონი; 22. სინათლე; 23. იანუსი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პომპეო; 2. სოკარი; 3. მონცა; 5. რუხი; 6. სუძუკი; 8. სტამპა; 11. მურვანიძე; 13. აჯამეთი; 14. ანტრაშა; 15. ბერბიჭა; 19. ლუდი.

თარაზულად: 1. პალიასტომი; 4. სუარესი; 7. მენისკი; 9. ცენტონი; 10. ომარი; 12. ახმეტელი; 16. კაკაბაძე; 17. ბალანსი; 18. ღრიანკალი; 20. ძილქუში; 21. ეირე; 22. კასტილია.

13 წლის ბიჭმა ორი თვითმფრინავი გაიტაცა

ჩინეთში 13 წლის ბიჭმა ორი პატარა თვითმფრინავი გასასეირნებლად გაიტაცა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

სათვალთვალო ვიდეოკამერებმა დააფიქსირეს, როგორ შეაღწია უცნობმა მოზარდმა ცზიანსუსა და ჩეეცზიანის პროვინციებს შორის მდებარე ტბა ტაიხუს ნაპირას განთავსებული საექსკურსიო ბიუროს კუთვნილ ანგარში. ეს შუაღამის შემდეგ მოხდა. მან ორი თვითმფრინავი ავტოსადგომზე გამოიყვანა და არა მხოლოდ პილოტის კაბინაში შეღწევა, არამედ გასეირნებაც მოახერხა.

მოზარდმა გასეირნების დროს ერთ-ერთი თვითმფრინავის მართვა დაკარგა და ღობეს დაეჯახა, ამის შემდეგ მეორე თვითმფრინავში ჩაჯდა და ავტოსადგომზე სამი წრე დაარტყა. საექსკურსიო ბიუროს თანამშრომლებმა, რომლის საკუთრებასაც აღნიშნული თვითმფრინავები წარმოადგენს, მომხდარის შესახებ მხოლოდ დილით გაიგეს, როდესაც სამსახურში მისულებმა ყველაფერი საკუთარი თვალით ნახეს. ერთ-ერთმა მათგანმა გაიხსენა, რომ ერთი დღით ადრე ცნობისმოყვარე ბიჭი შენიშნა. ის თვითმფრინავის ძრავის შეკეთებას ადევნებდა თვალს. ორი საათის განმავლობაში თვალის დევნება საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მოზარდი მიმხვდარიყო, თუ როგორ იმართება თვითმფრინავები.

ბიჭმა პოლიციელებთან ყველაფერი აღიარა. მის ოჯახს შვილის გაპარვის შესახებ არაფერი გაუგია.

მონადირეს დათვის მიერ მოგლეჯილი ცხვირი მიაკერეს

ამერიკის პენსილვანიის შტატის ქალაქ უესტფილდის მცხოვრები მონადირე დათვ გრიზლის თავდასხმის შემდეგ სამი წელი მკურნალობდა.

2016 წელს ლი ბრუკი ირემზე სანადიროდ იყო წასული. ირმის მოკვლის შემდეგ ის ნანადირევს ბანაკში მიათრევდა, როდესაც თავს დათვი დაესხა. მამაკაცმა გონება დაკარგა, ხოლო გონს მოსვლის შემდეგ მტაცებელს დანა დაარტყა. ფეხზე წამომდგარმა, დაინახა, რომ მიწაზე მისივე ცხვირი ეგდო. ის არ დაბნეულა, ცხვირი ჯიბეში ჩაიდო და ყვირილით გაიქცა.

დათვმა მონადირეს ცხვირი და ზედა ტუჩი მოაგლიჯა. საავადმყოფოში მამაკაცი 30 დღით ხელოვნურ კომაში გადაიყვანეს. მკურნალობის დროს მას მოგლეჯილი ცხვირი, სანამ თავის ადგილზე დააბრუნებდნენ, ხელზე მიაკერეს. მონადირეს ათეულობით ოპერაციის გადატანა მოუხდა.

შემდგომი სამი წლის განმავლობაში პლასტიკური ქირურგები მამაკაცის სახის აღდგენაზე მუშაობდნენ, რისთვისაც მისი სხეულის ხრტილოვან და სხვა ქსოვილებს იყენებდნენ. ახალი ტუჩი მისი ფეხის კანისგან შექმნეს, ულვაშებად მისი თმის ღერები გამოიყენეს, ხოლო ცხვირი ხელიდან რამდენიმე დღის წინ გადაუნერგეს.

ოპერაციის შემდეგ მონადირის სახემ რამდენიმე ადგილზე მგრძნობელობა დაკარგა.

– ვეღარასოდეს ვიგრძნობ, თუ როგორ მკოცნის მეუღლე, ვეღარასოდეს, – ამბობს ბრუკი, – ეს ალბათ ჩემთვის ყველაზე მთავარია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



კულინარიული კუთხე

ხინკალი

მასალა: ღორის ან ცხვრის ხორცი – 1 კილოგრამი; ფქვილი – 1 კილოგრამი; ხახვი – 5 თავი; კვერცხი – 1 ცალი; მწვანილი, პილპილი, მარილი – გემოვნებით.

მომზადება: ღორის, ან ცხვრის ხორცის რბილი ნაჭერი დავჭრათ და ხახვთან ერთად ხორცსაკეპ მანქანაში გავატაროთ. ავურიოთ შიგ დანაყილი პილპილი, მარილი, ოხრახუში, ქინძი, ქონდარი, იმდენი თბილი წყალი, რამდენსაც შეიწოვს ხორცი (დაახლოებით 1 ჩაის ჭიქა).

მოვზილოთ მაგარი ცომი ოდნავ მარილიანი ნახევარი ლიტრი წყლითა და კვერცხით. კარგად გავაბრტყელოთ, გამოვჭრათ სპეციალური ხის საჭრისით და კიდევ გავაბრტყელოთ. თითოეულ ცომზე მოვათავსოთ 1 სუფრის კოვზი მომზადებული ხორცი, ნაპირები შემოვუკეცოთ, მოვგრიხოთ და კუჭი დავტკეპნოთ ისე, რომ მოხარშვის დროს არ გაიხსნას. ასე მომზადებული ხინკლები ჩავყაროთ მარილიან მდუღარე წყალში და ვხარშოთ; ქვაბი ხანგამოშვებით ვატრიალოთ, რომ ხინკალი ძირზე არ მიეკრას. როცა ყველა ხინკალი წყლის ზევით ამოტივტივდება, კიდევ 5 წუთი ვადუღოთ და ამოვალაგოთ ქაფქირით.

სუფრაზე ხინკალთან ერთად მივიტანოთ დანაყილი პილპილი.

❖ ❖ ❖

ერბოკვერცხი სულგუნით

მასალა: კვერცხი – 6-7 ცალი; სულგუნი – 200 გრამი; ერბო – 50 გრამი; მარილი – გემოვნებით.

მომზადება: სულგუნი დავჭრათ გრძელ და თხელ ნაჭრებად და დავდოთ ერბოდასხმულ გაცხელებულ ტაფაზე, შევწვათ ორივე მხარეს შეწითლებამდე და შემდეგ ზემოდან დავასხათ ათქვეფილი კვერცხები.

❖ ❖ ❖

მთელ-მთელი მოხარშული კვერცხი ნიგვზითა და საწებლით

მასალა: კვერცხი – 7-8 ცალი; ნიგოზი – 0,5 ჩაის ჭიქა; ნიორი, წიწაკა, ქინძი, მარილი, ძმარი – გემოვნებით.

მომზადება: კვერცხები მაგრად მოვხარშოთ, მოვაცილოთ ნაჭუჭი, გავჭრათ შუაზე და დავალაგოთ თეფშზე, ნიგოზი, მარილი, ნიორი, წიწაკა, ქინძი ერთად დავნაყოთ, გავხსნათ ადუღებულ ცივ წყალში, დავამატოთ ცოტა ძმარი და დაჭრილ კვერცხებს გადავასხათ.

❖ ❖ ❖

ორთქლში მოხარშული კარტოფილი

ჩასადგამ ბადიან ქვაბში ჩავასხათ 3-4 ჩაის ჭიქა წყალი. ბადეზე მოვათავსოთ გათლილი მთელ-მთელი ან 2-4 ნაჭრად დაჭრილი კარტოფილი, მოვაყაროთ ცოტა მარილი, ქვაბს მაგრად დავახუროთ სახურავი და დავდგათ ძლიერ ცეცხლზე. როგორც კი წყალი ადუღდება, ცეცხლი შევანელოთ და ვადუღოთ კარტოფილის მოხარშვამდე.

ასეთი წესით მოხარშული კარტოფილი გაცილებით გემრიელია, ვიდრე – წყალში მოხარშული. განსაკუთრებით კარგია მისგან პიურესა და კატლეტის მომზადება.

❖ ❖ ❖

ტორტი „ვარსკვლავების წვიმა“

მასალა: ნაღები – 350 გრამი; რძიანი და შავი შოკოლადი – 50 გრამი ; კვერცხი – 4 ცალი; შაქარი – 150 გრამი; ფქვილი – 100 გრამი; საფუარი – 1 ჩაის კოვზი (ან სოდა); სახამებელი – 50 გრამი; ნუგა – 70 გრამი; გახეხილი ნუში – 3 სუფრის კოვზი; ვანილი – 1 პაკეტი; შოკოლადის კანფეტი – 12 ცალი; მარციპანის ვარსკვლავი – 10 ცალი.

მომზადება: 200 მილილიტრი ნაღები გავაცხელოთ, შევურიოთ შოკოლადს და ერთი ღამით მაცივარში შევდგათ.

ღუმელი 180 გრადუსამდე გავახუროთ. მოვამზადოთ 26 სმ დიამეტრის ფორმა.

ავთქვიფოთ კვერცხი 4 სუფრის კოვზ ცხელ წყალთან ერთად, დავამატოთ შაქარი და ვთქვიფოთ, სანამ მასა ერთგვაროვანი არ გახდება.

ფქვილს დავამატოთ საფუარი და სახამებელი, შევურიოთ კვერცხს, ცომი ჩავასხათ ფორმაში და 35 წუთის განმავლობაში გამოვაცხოთ, შემდეგ გადმოვიღოთ და გავაციოთ.

ბისკვიტი გავჭრათ 3 ჰორიზონტალურ ფენად, ნუგა გავაცხელოთ, წავუსვათ პირველ ფენას და ზემოდან მეორე დავადოთ, მეორე ფენას ატმის ჯემი გადავუსვათ, ზემოდან კი მესამე მოვათავსოთ.

ავთქვიფოთ მაცივარში შენახული შოკოლადიანი ნაღები და ტორტი მთლიანად ამ მასით დავფაროთ. მოვაფრქვიოთ გახეხილი ნუში, დარჩენილი ნაღები კი ცალკე ავთქვიფოთ და ვარდისებრი ფორმებით დავასვათ ტორტს, გარშემო კი შოკოლადის კანფეტები შემოვუწყოთ.

ბოლოს ტორტი მარციპანის ვარსკვლავებით მოვრთოთ.

ასტროპროგნოზი

22 ივლისისთვის

ვერძი – თქვენი სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. საზრიანობა და მოვლენების საღად აღქმის უნარი ნებისმიერი რთული სიტუაციიდან თავის დაღწევაში გეხმარებათ. **კურო** – დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე და თანხმობა. შეეცადეთ, საყვარელ ადამიანთან მეტი დრო გაატაროთ. **ტყუპები** – დღის დევიზია დიდსულოვნება, სულიერი წონასწორობა, ურთიერთობა მეგობრებთან და ახლობლებთან. კომერსანტებს პრობლემები შეექმნებათ. გამორიცხული არ არის ფინანსური დანაკარგები. **კირჩხიბი** – კონფლიქტური დღეა. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ემოციები მოთოკეთ ან თქვენთვის არასასურველ ადამიანებს საერთოდ გაეცალეთ. **ლომი** – დღეს თქვენს შესაძლებლობებს სრულად წარმოაჩენთ. მატყუარა ხალხისაგან თავი შორს დაიჭირეთ. **ქალწული** – დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე და თანხმობა. ვარსკვლავები საყვარელ ადამიანთან მეტი დროის გატარებას გირჩევენ. **სასწორი** – ყოველგვარი შეხვედრა, საქმიანიც და პირადულიც, მომდევნო კვირისთვის გადადეთ. კარგი იქნება ფიზიკური ვარჯიში, მოგზაურობა. **ღრიანკალი** – აუცილებლად გჭირდებათ განმარტოება. კომფორტულად თავს მხოლოდ ბავშვებთან ურთიერთობისას იგრძნობთ. **მშვილდოსანი** – არავითარ შემთხვევაში არ გარისკოთ. კომერსანტებს პრობლემები შეექმნებათ. გამორიცხული არ არის ფინანსური დანაკარგები. **თხის რქა** – კოლეგები თქვენ მიმართ არაკეთილგანწყობილი არიან. ახალი სასიყვარულო კავშირი პრობლემების მეტს არაფერს მოგიტანთ. **ვერცხელი** – მძიმე დღეა. წარუმატებლობებს დილიდანვე ელოდეთ. მამაკაცებს მაცდური წინადადებით მოგმართავენ, რომელსაც, რა თქმა უნდა, არ უნდა დათანხმდეთ. **თევზები** – არ გადაიღალოთ. თქვენი ჯანმრთელობისათვის დღეს საჭიროა დასვენება მყუდრო გარემოში. წვრილმან უსიამოვნებებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ყველაფერი მალე გამოსწორდება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

არტ შარფები — რუსუდან ფეტვიაშვილის ახალი მიმართულება

მხატვარმა რუსუდან ფეტვიაშვილმა თავისი ნახატებით შარფები დაამშვენა.

ახალი პროდუქციის პრეზენტაცია ჭავჭავაძის „სითი სთარში“ გაიმართა და მას სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ცნობილი სახეები ესწრებოდნენ.

არტ შარფები რუსუდან ფეტვიაშვილის ახალი მიმართულებაა. მის სარეკლამო ფოტოსესიაში რუსა ჩაჩუა გადაიღეს.

რუსუდან ფეტვიაშვილის მიერ მოხატული თითოეული შარფის ღირებულება 690 ლარია.

თემო საჯაია: „ამოვიდა ყელში!“

მომღერალი თემო საჯაია გაუთავებელმა პოლიტიკურმა ვნებათაღელვამ დაღალა:

– ამოვიდა ყელში!

პირველი: ვინც ფიქრობთ, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ბიძინა ივანიშვილმა მოისყიდა, უბრალოდ, იდიოტები ხართ და წარმოდგენა არ გაქვთ არც ევროპაზე და არც სტრასბურგის სასამართლოზე!

მეორე: ესაო და ევროპული ღირებულებები ჩვენთვის მთავარიაო და ევროპაშია ხსნაო და რუსეთი არ გვინდაო...

ჰოდა, მხოლოდ რუსეთუმეს და რუსული პოლიტიკის გამტარებელ ტვინში თუ დაიბადება ის აზრი, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ფულით მოისყიდეს, მსგავსი პროპაგანდა მხოლოდ რუსულ არხებზე მომისმენია! ამიტომ, მოდით რაა, უკანა ტანის თამაშს შეეშვით!

პ.ს. „ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის“ – გალაკტიონი.

ჩეხები საქართველოს მხარდასაჭერად ჩვენი ქვეყნის რუკებიანი მაისურებით დადიან

ჩეხები ვენაში საქართველოს რუკის მაისურებით გადაადგილდებიან და ასე უჭერენ მხარს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს.

გოჩა დათუსანი, ოპერის მომღერალი:

– ჯიგრები.

ვერავინ შეცვლის ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და ტერიტორიულ მთლიანობას.

ვენიდან მოფრინავდა ჩეხების 15-კაციანი ჯგუფი. კითხვაზე, რატომ გაცვიათ ეს მაისურები-თქო, ვიცით თქვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, ძალიან გვიყვარს საქართველო და ყველამ იცოდეს, სად მივდივართო!

პ.ს. ბევრმა უცხოელმა იფრინა ჩემთან ერთად და არის რაღაც სიამაყის გრძნობის მომენტი!

ფილმმა „და ჩვენ ვიცეკვეთ“ ოდესის კინოფესტივალის გრანპრი მოიგო

ლევან აკინის ქართულ-შვედურმა კოპროდუქციამ „და ჩვენ ვიცეკვეთ“ ოდესის საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი პრიზი – გრანპრი აიღო.

ფილმი გეიწყვილზეა და მისი მსოფლიო პრემიერა კანის კინოფესტივალზე გაიმართა. წინააღმდეგობების მიუხედავად, ფილმი მაინც შედგა და მან ათასობით მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

ფილმში მთავარი როლის შემსრულებელი ქართველი მსახიობი ლევან გელბახიანი კი კანის კინოფესტივალის რჩეულ მსახიობებს შორის დასახელდა. ერთ-ერთმა ამერიკულმა ჟურნალმა იმ 15 განსაკუთრებული მსახიობის ჩამონათვალი გაავრცელა, რომლებიც ფილმებში გამორჩეულად თამაშობენ და მაყურებელს თავი დაამახსოვრეს.

ანტონიო ბანდერასის, უილემ დეფოს, ლეონარდო სბარაგლიას, რობერტ პატინსონისა და სხვა მსახიობების გვერდით დასახელდა ლევან გელბახიანი, რომელიც ლევან აკინის ფილმში „და ჩვენ ვიცეკვეთ“ ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს.

„საქართველოს ვარსკვლავი“ შესარჩევ ტურებს იწყებს

მუსიკალური შოუ „საქართველოს ვარსკვლავი“ შესარჩევ ტურებს იწყებს.

27 ივლისს პირველი შესარჩევი ტური თბილისში ჩატარდება და ის მთელ საქართველოს მოიცავს.

„საქართველოს ვარსკვლავი“ პროექტის გამარჯვებულს ევროვიზიაზე გააგზავნის, რომელიც ჩვენს ქვეყანას წარადგენს. წინა „საქართველოს ვარსკვლავი“ ოთო ნემსაძემ მოიგო და სწორედ მან წარადგინა საქართველო „ევროვიზია 2019“-ზე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი ხელოვნების სასახლემ შეიძინა



ხელოვნების სასახლემ სამუზეუმო კოლექციისთვის შეიძინა რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ყველაზე ძველი და უნიკალური პორტრეტი.

ამ პორტრეტს „თუმანიშვილისეულ სურათსაც“ უწოდებენ. ჩანახატმა გაიარა ავტორიტეტული ექსპერტიზა და ამ სურათს არ მისცეს ვიზა დასაბეჭდად.

მიუხედავად ამისა, თუმანიშვილისეულ ჩანახატს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახის აღდგენის საქმეში მაინც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგან ცნობილია მისდამი პოეტის დების დამოკიდებულება.

მოსე თოიძე წერს, რომ ბარბარეს ამ ესკიზში თავისი ძმა უცვნია და, მიუხედავად პოეტთან მისი მცირე მსგავსებისა, მაინც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ზუგდიდს ევროპული სტანდარტების თეატრი ექნება

ზუგდიდს ევროპული სტანდარტების თეატრი ექნება. ახალ თეატრს, რომლის მშენებლობაც აქტიურად მიმდინარეობს, ორი დარბაზი ექნება. დიდი დარბაზი 570 მაყურებელზეა გათვლილი, მცირე დარბაზი კი 140-ადგილიანი იქნება.

ასევე თეატრს ექნება მუზეუმი და სასტუმრო გასტროლებზე ჩამოსული სტუმრებისთვის, ასევე სახელოსნო, საგრიმიორო, სამკერვალო, საკონფერენციო დარბაზი, კაფე. დამონტაჟდება განათების, გახმოვანების უახლესი აპარატურა.

პროექტს ფონდი „ქართუ“ აფინანსებს. თეატრის მშენებლობა 2020 წელს დასრულდება.

მუცო საუკეთესო პროექტთა შორისაა

მუცოს არქიტექტურული კომპლექსის რეაბილიტაციამ, როგორც წლის საუკეთესო საკონსერვაციო პროექტმა, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის სფეროში ევროპის უმაღლესი აღიარების – ევროპა ნოსტრას ჯილდო მიიღო.

დაჯილდოებაზე გამოვლინდება პრიზ „საზოგადოების რჩეულის“ მფლობელიც. 15 სექტემბრის ჩათვლით თითოეულ ჩვენგანს შეუძლია, მუცოს ვუგულშემატკივროთ მთავარი პრიზის მოსაპოვებლად.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, ხმის მიცემა შესაძლებელია სპეციალურ ბმულზე. რაც შეეხება ხმის მიცემის პროცედურას, თითოეულმა ჩვენგანმა ხმა უნდა მივცეთ სხვადასხვა ქვეყნიდან წარდგენილ 3 სხვადასხვა პროექტს.

პირველად ხმა უნდა მივცეთ მუცოს პროექტს. ამ შემთხვევაში ის შეფასდება 3 ქულით. ჩვენ მიერ შერჩეული მეორე პროექტი მიიღებს 2 ქულას, ხოლო მესამე – 1 ქულას.

ხმის მიცემისას შეგვიძლია დავტოვოთ კომენტარი ჩვენი რჩეული პროექტის შესახებ. ხმის მიცემის ბოლო ვადაა 2019 წლის 15 სექტემბერი და ხმის მიცემა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯაზეიდოსკოპი

არწივმა გველი ტურისტების თვალწინ დაგლიჯა



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ტურისტები ჩხრიალა გველზე არწივის თავდასხმის თვითმხილველები გახდნენ. თვითმხილველის მიერ გადაღებული კადრები იუთუბში პარკის არხზე გამოქვეყნდა.

ვიდეოს ავტორის, სამხრეთ აფრიკელი მასწავლებლის გრემ მიტჩლის თქმით, ფრინველმა ქვეწარმავლის თავზე პიკირება იმ დროს განახორციელა, როდესაც ის გზაზე ნელა მისრიალებდა. მან ის მიწაზე გასრისა და ჯერ კიდევ ცოცხალი, იყო, როდესაც მის ჭამას შეუდგა.

– ახლაც კი, როდესაც ვიდეოს ვუყურებ, მისი ტანჯვის გამო ვწუხვარ, – აცხადებს მიტჩლი, – გველები ცოტა ვინმეს თუ უყვარს, მაგრამ ეს ამ შემთხვევაში ნელი და მტანჯველი სიკვდილი იყო.

საბოლოოდ არწივმა გველი ორად გაგლიჯა, ნისკარტში მოიგდო და ნადავლთან ერთად გაფრინდა.

მამაკაცი ქალს ზურგზე შეახტა

ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატში მამაკაცი ქალს ზურგზე იმიტომ შეახტა, რომ ფეხები წყალში არ დასველებოდა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გაავრცელა.

რამდენიმე დღის წინ კოკისპირული წვიმის გამო რკინიგზის სადგური დაიტბორა. კადრებში ჩანს, რომ ძლიერი წვიმა მოდის, ხოლო მუქი ფერის კლასიკურ კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცი სადგურის შესასვლელთან კიბეზე დგას. მის მოპირდაპირე მხარეს კიბეზე წყლის ნაკადი ჩანჩქერივით მოედინება. რამდენიმე წამის შემდეგ მასთან მიდის ქალი, ქოლგას აწვდის, ბრუნდება და ზურგს უშვერს, რათა მამაკაცი ზედ შეახტეს.

ქალმა მამაკაცი მატარებლამდე მიიყვანა, ხოლო ირგვლივ შეგროვილი მგზავრები ამ ყველაფერს თვალს ადევნებდნენ და იცინოდნენ. თავდაპირველად ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ტვიტერში ეშლი მაასის გვერდზე გამოჩნდა.

– მატარებლიდან გამოვედი და ეს „ელიტის“ წარმომადგენელი დავინახე, – დაწერა მაასმა კომენტარში. მისმა ვიდეომ 18 ათასზე მეტი მოწონება, ოთხი ათასი გაზიარება და ასეულობით კომენტარი მიიღო.

ორთავიანი კუ იპოვეს

ბუნების დაცვის სპეციალისტებმა მალაის არქიპელაგის კუნძულ მაბულზე ახლად გამოჩეკილი ორთავიანი კუ აღმოაჩინეს.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ არასოდეს შეხვედრიან ასეთ არსებას კუების სამეცნიერო ცენტრში გამოჩეკილ 13 ათას კუს შორის. ზღვის ბიოლოგმა დევიდ მაკანმა განაცხადა, რომ ორივე თავი სუნთქავს და რეაგირებს ყველაფერზე, რაც მათ გარშემო ხდება.

– ეს საოცარია. როგორც ჩანს, მარჯვენა თავი წინა მარჯვენა კიდურს აკონტროლებს, ხოლო მარცხენა თავი – მარცხენას. ამასთან, ისინი მოძრაობის კოორდინირებას ჰარმონიულად ახერხებენ, რათა გადაადგილება და ცურვა შეძლონ, – ამბობს მეცნიერი.

მეცნიერებაში ასეთ არსებებს დიციფალებს ეძახიან – ეს ტყუპების შერწყმის უიშვიათესი და არატიპური ფორმაა, რომლის დროსაც მათ ორი თავი და ერთი სხეული უვითარდებათ.

იშვიათი ფობიის გამო ქალს დაძინების ეშინოდა

ინგლისის სურეის საგრაფოს მცხოვრებმა ისაუბრა უიშვიათეს ფობიაზე, რომლის გამოც მას დაძინების ეშინია, რადგან ფიქრობს, რომ ძილში გარდაიცვლება.

26 წლის რეიჩელ უილიამსმა, სამი შვილის დედამ, საკუთარ თავს შიში ძილის მიმართ მას შემდეგ შენიშნა, რაც მის პატარა შვილებს აუტიზმი დაუდგინეს. ქალი ნერვიულობდა ბავშვების სრულფასოვანი განვითარების გამო და მათთვის უფრო მეტად კომფორტული პირობების შექმნას ცდილობდა.

– 110 პროცენტით ვცდილობდი, – ამტკიცებს ქალი.

მას ძილთან პრობლემები მას შემდეგ გაუჩნდა, რაც მისი მეუღლე კრეიგი ერთი წლით ჰემპშირის საგრაფოს ქალაქ ოლდერშოტში მექანიკოსის პროფესიის შესასწავლად გაემგზავრა. ამ დროს უილიამსი მესამე ბავშვზე ოთხი თვის ფეხმძიმე იყო.

– ძილში სიკვდილის ძალიან მეშინოდა. ვერავინ გვნახავდა მე და ჩემს შვილებს, ვერავინ დამეხმარებოდა, – ამბობს ქალი, – იმის გამო ვწუხდი, შეძლებდნენ თუ არა ისინი, მამის ჩამოსვლას დალოდებოდნენ.

უილიამსი ნერვული აშლილობის პირას იმყოფებოდა. მიუხედავად ფეხმძიმობისა, ქალი სწრაფად იკლებდა წონაში. მან იფიქრა, რომ სერიოზული დაავადება ჰქონდა და დახმარებისთვის საავადმყოფოს მიმართა. მას ჰიპნოფობია დაუდგინეს და სამკურნალოდ ფსიქიატრთან გააგზავნეს. ექიმმა მას შიშის შეტევასთან გამკლავება ასწავლა, მათ შორის, ჰიპნოზის დახმარებითაც.

საბოლოოდ კრეიგი მშვიდობით დაბრუნდა სახლში, უილიამსს კი მას შემდეგ გაცილებით მშვიდად სძინავს.

მოამზადა კახა ხატიშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ივანე, სოფიკო, ლევან ჯაფარიძეები, ტატა გედევანიშვილი, ეკა დავითაშვილი, ერეკლე უგრელიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი ნათესავი, ყველას მოყვარული ღვაწლმოსილი პედაგოგი, დიდებული ქალბატონი

ლია ცნობილაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით. დარეკეთ 577460659 ან 595183709

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

22 ივლისისთვის

- აშშ დოლარი — 2.8845
- ევრო — 3.2410
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6177
- 100 რუსული რუბლი — 4.5787

ამინდის პროგნოზი 22 ივლისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

16 ივლისიდან

ელეონორ პორტერი

პოლიანა

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

19 ივლისიდან



რევაზ მიშველაძე

ციყვი ბორბალში

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

ბატებს დაქორწინება აუკრძალეს

ბელორუსის დედაქალაქ მინსკში ორ ბატს ქორწილის გადახდა აუკრძალეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

ქალაქის მკვიდრმა, სახელად ანდრეიმ, თავისი ორი ბატის, სახელად ხარვისტერის, რომელიც მათთან ბინაში ცხოვრობს და კრიშნას, რომელიც მათ აგარაკზე ბინადრობს, დაქორწინება გადაწყვიტა. მისი თქმით, ხარვისტერი ხშირად ჩადის კრიშნასთან და ისინი ერთად თავს კარგად გრძნობენ. სოციალურ ქსელში მისი გვერდის ხელმომწერებმა ურჩიეს, რომ ბატებისთვის ქორწილი გადაეხადა.

ანდრეიმ მინსკის აღმასრულებელ კომიტეტში განცხადება შეიტანა, რომელშიც ლოშიცკის პარკში წყვილისთვის გამსვლელ რეგისტრაციას ითხოვდა. თუმცა ქალაქის ხელისუფლებამ უარი იმ მოტივით უთხრა, რომ ცერემონიისთვის თავად სიძე-პატარძლის განცხადება იყო საჭირო. გარდა ამისა, ჩინოსნებმა მიუთითეს, რომ ბელორუსეთის კანონმდებლობის თანახმად, ბატებს დაქორწინება არ შეუძლიათ, ვინაიდან კანონში ნათქვამია, რომ ქორწინება ქალისა და მამაკაცის ურთიერთშეთანხმებულ კავშირს წარმოადგენს.

ამის მიუხედავად, ბატების პატრონი საკუთარ განზრახვაზე უარის თქმას არ აპირებს და საზეიმო ცერემონიის გამართვა ქალაქის ერთ-ერთ კლუბში სურს.

ინდონეზიელები ენერგეტიკულმა სასმელმა იმსხვერპლა

ინდონეზიის პროვინცია ჯაკარტაში ორი მშენებელი მეტისმეტად ბევრი ენერგეტიკული სასმელის მიღების შედეგად გარდაიცვალა.

პოლიციის მონაცემებით, გარდაცვლილი აგუსისა და აჰმად რიიონოს ცხედრები მათმა ხელმძღვანელმა სამი დღის წინ აღმოაჩინა. ის ფიქრობდა, რომ მუშებს, უბრალოდ, მუშაობა ეზარებოდათ და მათ ნაქირავებ ბინაში მიაკითხა. იქ, გარდაცვლილი მუშების ცხედრების გარდა, მას დახვდა ფხვნილის ენერგეტიკის რამდენიმე ცარიელი შეკვრა, ენერგეტიკული კოქტეილის ორი ცარიელი ბოთლი და ორი წყლის ბოთლი.

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინი ენერგეტიკული სასმელების დიდი ოდენობით მიღებას ემსხვერპლნენ. მათ ორმა მთელი შეკვრა მშრალი ენერგეტიკა მიიღეს, – აღნიშნა კრიმინალისტმა ტომ სირაიტმა, – ამასთან, მათ მთელი დღე არაფერი უჭამიათ.

პოლიციას გარდაცვლილების სხეულზე რაიმე სახის ძალადობის ნიშნები არ აღმოუჩენია. ცხედრები გამოკვლევაზე ადგილობრივ საავადმყოფოში გადააგზავნეს.

მოამზადა კახა ხატიშვილმა

იუმორი

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

– გიგი, რატომ გაქვს კარნახით წერაში ზუსტად ისეთივე შეცდომები დაშვებული, როგორიც მერხზე შენ მეზობლად მჯდომ გივის?

– მასწავლებელი ხომ ერთი და იგივე გვყავს!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– მე შენზე ვზრუნავდი, ცუდად რომ იყავი. წვნიანს გიმზადებდი.

– ხომ არ გეშლება? ჯერ წვნიანი მომიმზადე და მერე გავხდი ცუდად!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა არის ყველაზე უარესი უმუშევრობაში?

– ძნელია მეგობარ გოგონასთან შეხვედრა, ვინაიდან მისი უმუშევარი ქმარი სულ სახლშია.

●●●

მედდა ექიმს ეკითხება:

– ექიმო, აქ ერთ-ერთ მნახველს აინტერესებს, რომელიმე ავადმყოფი ხომ არ გაიქცა ჩვენი საავადმყოფოდან.

– და მას ეს რატომ აინტერესებს?

– ამბობს, რომ ვიღაცა მის ცოლთან ერთად გაიქცა.

●●●

ერთი მამაკაცი მეორეს შესჩივის:

– ღარიბივით დავდივარ.

– მასე რატომ ფიქრობ?

– ვერ ხედავ, მთლიანი ჯინსები მაცვია, დახეულის საყიდელი ფული კი არ მაქვს.

●●●

გამოცდაზე. პროფესორი:

– მანდ, თქვენ სამმა, შეწყვიტეთ ერთმანეთისთვის ჩანაწერების გადაცემა!

– ეს ჩანაწერები არ არის, პრეფერანსს ვთამაშობთ, – უპასუხა ერთ-ერთმა სტუდენტმა.

– მაშინ ბოდიში!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– დამპირდი, 8 საათისთვის ვიქნები სახლშიო და ახლა ღამის 11 საათია.

– შენკენ ტყვიასავით მოვქროდი, ძვირფასო.

– კი მაგრამ, ბარში დაგინახეს.

– ეგ „რიკოშეტი“ იყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



96 წლის პენსიონერმა სირბილში მსოფლიო რეკორდი დაამყარა

ამერიკის ვირჯინიის შტატის მკვიდრმა ხუთი ათასი მეტრი 42 წუთსა და 30 წამში გაირბინა და 95-დან 99 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

აიოვის შტატის ქალაქ ეიმსში გამართულ გარბენში 96 წლის როი ენგლერტმა წინა რეკორდსმენ ფრანკ ლევინის რეკორდი თითქმის რვა წუთით გააუმჯობესა. მისმა წინამორბედმა იგივე მანძილი 50 წუთსა და 11 წამში გაირბინა.

მანამდე ამერიკელმა პენსიონერმა რეკორდები თავის ასაკობრივ კატეგორიაში 800, 1,5 ათას და სამი ათას მეტრზე სირბილში დაამყარა.

ენგლერმა აღიარა, რომ ამ გამარჯვებებს ბევრი შრომა სჭირდება. ყოველდღიური ვარჯიშების დროს მამაკაცი სამიდან ხუთი ათას მეტრამდე დარბის. შეჯიბრებამდე რამდენიმე დღით ადრე მან ფიზიკური დატვირთვა გაზარდა და აქცენტი სისწრაფეზე გადაიტანა.

აღსანიშნავია, რომ ის თავად უკმაყოფილოა და თვლის, რომ ნელა დარბის.

ქალმა გადაწყვიტა, სასუქად გადაიქცეს

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა ქალბატონმა ანდერძში დაიბარა, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი კომპოსტირება ჩატარდეს.

– ჩემს ანდერძში ჩავწერე, რომ მსურს, ყველაზე ეკოლოგიური მეთოდით დამასაფლაონ, რომელიც ყველაზე ნაკლებ ზემოქმედებას გამოიწვევს ბუნებაზე, – განმარტა 51 წლის შანტალ კუკმა.

ამისთვის ყველაზე შესაფერისია ადამიანის სხეულის კომპოსტირება. გარდაცვლილს ხვევენ სუდარაში, რომელიც ბიოლოგიურ ხრწნას ექვემდებარება და ტყეში მარხავენ, ზევიდან კი ხეებს რგავენ. იმ შემთხვევაში კი, თუ ეს შეუძლებელი იქნება, კუკი კრემაციაზეც თანახმაა.

ქალის თქმით, მის თხოვნას ნათესავები სრულიადაც არ გაუკვირვებია. ის თვლის, რომ როდესაც ადამიანები ხვდებიან იმ ზიანს, რომელსაც ისინი გარემომცველ სამყაროს აყენებენ, ცხედრის კომპოსტირება დასაფლავების პოპულარული საშუალება გახდება.

ჭიქა ღვინო ქალს კიბოს აღმოჩენაში დაეხმარა

ბრიტანეთის ქალაქ ნოტინგემის მცხოვრებმა ონკოლოგიური დაავადება მას შემდეგ აღმოაჩინა, რაც მცირე რაოდენობით ღვინო დალია.

25 წლის ლორენ ფირენცამ პირველად ტკივილი ხელსა და კისრის მიდამოში ჯერ კიდევ 2018 წლის სექტემბერში იგრძნო, როდესაც მეგობრებთან ერთად სადილობის დროს ერთი ჭიქა ღვინო დალია. თავდაპირველად ამისთვის მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, მაგრამ, როდესაც იგივე სიმპტომები დეკემბერში ოჯახური სადილის დროს გაუმეორდა, ექიმს მიმართა.

მთელი რიგი გამოკვლევების ჩატარების შემდეგ მას ავთვისებიანი სიმსივნე მარჯვენა ფილტვზე აღმოუჩინეს. ექიმებმა განმარტეს, რომ ალკოჰოლის შემდეგ მუცელში უსიამოვნო შეგრძნებები, ლიმფური კვანძების ანთება, ქავილი დაავადების ერთ-ერთ სიმპტომს წარმოადგენს.

გოგონამ სამ თვეში ქიმიოთერაპიის ექვსი კურსი გაიარა. მკურნალობის დაწყებამდე ფირენცამ კვერცხუჯრედები გააყინვინა, რათა აგრესიულ თერაპიას მომავალში ბავშვების გაჩენის შესაძლებლობა არ დაეკარგვინებინა. ივნისში ექიმებმა განუცხადეს, რომ სიმსივნე აღარ ჰქონდა, თუმცა ქიმიოთერაპიის ორი კურსის გადატანა კიდევ მოუწევს, რათა რეციდივი გამოირიცხოს.

ციხის ზედამხედველი ლატარიის ბილეთის გაყალბებისთვის ციხეში აღმოჩნდა

ამერიკის ილინოისის შტატში გამოსასწორებელი დაწესებულების ზედამხედველს ლატარიის ბილეთის გაყალბების ბრალდება წაუყენეს.

2018 წლის 1 ოქტომბერს 46 წლის დარელ ბარი შეეცადა, 20 ათასი დოლარის მოგება მიეღო მომენტალური ლატარიის ყალბი ბილეთით. ორი თვის შემდეგ ამის შესახებ პოლიციაში განაცხადეს. მიმდინარე წლის 12 ივლისს ბარი დანაშაულის აღიარებით გამოცხადდა.

მას თაღლითობისა და ილინოისის შტატის ლატარიის კანონმდებლობის დარღვევის ბრალდება წაუყენეს. ორივე ქმედება სისხლის სამართლის სერიოზულ დანაშაულად ითვლება. ბარი საქმის სასამართლო განხილვამდე ციხეში მოათავსეს, 25 ათასი დოლარის გირაოს გადახდის შემთხვევაში გათავისუფლების უფლებით.

მოამზადა კახა ხატიშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 6. დიდი, ერთბირთვიანი ლეიკოციტი; 7. თვითმფრინავის დაშვება-აფრენის სწორხაზოვანი ტრაექტორია; 8. ხარისხი, თანრიგი, წოდება; 9. წინასწარი განცხადება რაიმე წარმოდგენის შესახებ; 10. მცირე ხმა, ფაჩუნი; 13. ძვირფასი მინა; 15. ბიბლიური ტექსტის ახსნა-განმარტება; 18. წყლის სულები გერმანულ მითოლოგიაში; 20. ცხენების ჯოგი; 21. თავხვეული კომბოსტო; 23. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე (XVIII ს.); 24. სოკოვანი დაავადება.

შვეულად: 1. ესპანური ხალხური ეპოსი; 2. ზებუნებრივი ძალების რწმენა; 3. სწრაფი ტემპით (მუს.); 4. რადიოაქტივობის საზომი ერთეული; 5. ცხარე საწებელი; 11. კიპლინგის ნაწარმოები; 12. ინდოეთთან ასოცირებული მცენარე; 14. ველის იორდასალამი; 16. საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია ფაშისტურ გერმანიაში; 17. თვალის ლორწოვანი გარსის ინფექციური დაავადება; 19. ანძებზე დამაგრებული ქვევიდან მესამე განივი ძელი (ზღვ.); 21. ოპტიკური მინა; 22. ბორცვის სახელწოდება ციმბირში.

შეადგინა ოლივერ კოხიამ